# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№48 (9879) 2025 წლის 2 აპრილი, ოთხშაბათი


ჯუმბერ სარდლიშვილი:

## ევროპა საფრთხეშია!

## რატომ აყალბებენ ერის ცნებას?!



კითხული კაცის აზრი

იხ. 4 გვ.

ადამიანის უფლებები

## ჩვენი სინამდვილე სატანიზმია!!!



8



ვიქტორ რცხილაძე:

ვუძღვნი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, რომელიც საბჭოთა დროს მეხმარებოდა როგორც სულიერად, ასევე მატერიალურად

## ეროსი მანჯგალაძის 100 წლის იუბილე სამტრედიაში



12

ელგუჯა გუგუშვილი

## მონოდებით – გამარჯვებული

5



სუპერპროფესიონალი

თეიმურაზ ქორიძე:

## იმპერატორ პეტრედან პრეზიდენტ პუტინამდე



3



„პუტინი მალე მოკვდება, ეს ფაქტია და ამით ყველაფერი დამთავრდება“



6 ალეკო ასლანიშვილი 7

## მეგრელთა საქმე

საქართველოს პარლამენტი

## პარლამენტის სადაგი დღე

გუშინ პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც მაუწყებლებს უცხოეთიდან დაფინანსების მიღებას უკრძალავს;

•

პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში მომზადებული ცვლილებები, რომლის მიხედვით, ტელე და რადიომაუწყებლებთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები, მოთხოვნები და სტანდარტები შემოდის.

•

გუშინვე პარლამენტმა „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“, FARA-ს კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო. ცვლილებებს მხარი 86-მა დეპუტატმა დაუჭირა.

•

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „სამშობლოს ღალატის“ მუხლის დაბრუნების ინიციატივა პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო.

•

პარლამენტმა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა, რომლის მიხედვით საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს დამატებითი საქმიანობის განხორციელება და ამ საქმიანობისთვის ანაზღაურების მიღება დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობით შეეძლებათ.

ყველა საკითხი პლენარულ სხდომაზე ერთსულოვნად –84-86 ხმით დაამტკიცეს!

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

## მიხეილ ყაველაშვილი:

# არასდროს დავივიწყებთ გმირების სიმამაცესა და თავდადებას



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობების დაარსების დღეს ეხმიანება.

– დღეს საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობების დაარსების დღეა!

მოხარული ვარ, რომ ეს მნიშვნელოვანი თარიღი საქართველოს ვიცე-პრემიერთან, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ჩიქოვანთან, თავდაცვის ძალების ხელმძღვანელ პირებთან და ჯარისკაცებთან ერთად, სენაკის მე-2 ქვეით ბრიგადაში აღვნიშნე.

სახმელეთო ჯარების გარდაქმნა და ორ ძლიერ და შეკრულ ავტონომიურ სტრუქტურად — დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობებად ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს თავდაცვის ძალების ოპტიმიზაციისა და გაძლიერების გზაზე. ამ ცვლილებამ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

ჩვენი ჯარისკაცები ყოველთვის გმირულად და ვაჟკაცურად იცავდნენ და იცავენ სამშობლოს. ჩვენი ქვეყნის მშვიდობის უზრუნველყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო უსაფრთხოება და მოხარული ვარ, რომ ჩვენს სამხედროებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი გლობალური მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ჩვენ მუდამ გვემახსოვრება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის თავგანწირული ქართველი გმირები– არასდროს დავივიწყებთ მათ სიმამაცესა და თავდადებას.

არ არსებობს იმაზე უფრო ეროვნული და საპატიო საქმე, ვიდრე სამშობლოს მსახურებაა. მსურს, გამოვხატო უდიდესი პატივისცემა და მადლიერება თითოეული ჯარისკაცის მიმართ, რადგან საქართველოს ერთგულად, კეთილსინდისიერად და უდიდესი პასუხისმგებლობით ემსახურებიან. მათი პროფესიონალიზმი და ღირსეული საქმიანობა განაპირობებს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობასა და მშვიდობას.

გილოცავთ თავდაცვის ძალების დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობების დაარსების დღეს! დარწმუნებული ვარ, ჩვენი ჯარისკაცები მუდამ იდგებიან ჩვენი სამშობლოს უსაფრთხოების სადარაჯოზე!

## შალვა პაპუაშვილი: პარლამენტის სასახლეს კვლავ გაუხსნეს ცეცხლი!




– ორი დღის წინ ჩეხეთის, გერმანიის, ნორვეგიის ელჩები, ბრიტანეთის და ჰოლანდიის საელჩოების წარმომადგენლები ესტუმრნენ და სოლიდარობა გამოუცხადეს „ენჯეოთა“ გაერთიანებას, „ადამიანის უფლებათა სახლს“, რომელიც, პროკურატურის გამოძიების თანახმად, ეხმარებოდა პარლამენტთან ძალადობაში ჩართულ აქციის მონაწილეებს დაკისრებული კანონიერი ჯარიმებისთვის თავის არიდებაში, რაც, ამავე დროს, შემდგომი ძალადობისთვის კარტბლანშის მიცემა და მისი წახალისებაა.

31 მარტს საქართველოს პარლამენტის სასახლეს კვლავ გაუხსნეს ცეცხლი პიროტექნიკით. ამ საელჩოების მხრიდან მოველი პარლამენტის შენობაზე თავდასხმის დაგმობას. მით უმეტეს, ეს თავდასხმა მათ მიერ დაფინანსებული „ენჯეოების“ ორგანიზებულ აქციაზე მოხდა“.




# წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო!..

**არის სალომე ზურაბიშვილი და არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ან ერთია ხავსი და ან მეორეა წყალწაღებული. რომელია ხავსი და რომელი წყალწაღებული, თვითონ ჩამოყალიბდნენ ერთმანეთში და თვითონ შეთანხმდნენ,** – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზვიად შალამბერიძემ ოპოზიციის აქციაზე საუბრისას.



„მაგაზეც ვერ შეთანხმდებიან, დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ მაგათ შეთანხმებას და გაერთიანებას ვუყურებთ ექვსი თვეა და ექვსი თვის თავზე ჩვენ ისევ გვესმის, რომ „ჩვენ უნდა გავერთიანდეთ“.

გაზაფხულიდან დაიწყო, მაგრამ გაერთიანების სურვილი უფრო აქტიური იყო წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ყველა ოპოზიციური პარტია იყო შეკრებილი მაშინდელ პრეზიდენტის სასახლეში და მაშინ იყო ამის რაღაცა კონტურები. მაგრამ ეს კონტურებიც ისევე გაქრა, როგორც გაქრობის რეჟიმშია „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ ქართული პოლიტიკის ჰორიზონტიდან.

31 მარტის აქცია იყო, როგორც სალომე ზურაბიშვილის, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური რეკვიემი, რის მერეც უბრალოდ გამორიცხულია, რომ მათ შეძლონ გაერთიანება, ან ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ფაქტობრივად გათენებული არ იყო, რომ უკვე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ გამოდიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ოპოზიციური პარტიის ლიდერები და ზოგი სალომეს ლანძღავდა, ზოგი ერთმანეთს.

არ შეიძლება ამაზე სერიოზულად საუბარი იმიტომ, რომ ყველამ დავინახეთ და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მათაც დაინახეს, რომ იმ „ერთობას“, რა ერთობაც შეიძლება იყოს სალომე ზურაბიშვილთან ერთად, ან პოლიტიკური გაერთიანების მეშვეობით, პერსპექტივა არ აქვს“, – აღნიშნა **ზვიად შალამბერიძემ.**



# ასეთი ,,დაღეჭილი‘‘ სამოქმედო გეგმა, მე ჯერ არ მსმენია!



პარტია „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** 31 მარტის აქციაზე **პაატა ბურჭულაძის** სიტყვით გამოსვლას სოციალურ ქსელში ეხმიანება.

**„ბურჭულაძემ ბენდერის წარმატების ყველა ფორმულა გაიმეორა. მან უმიკროფონოდაც გარკვევით თქვა: “Всегда!” – რითაც ხაზი გაუსვა აქციების ხანგრძლივობას. ამას დაამატა: „Заграница не поможет!” – და აქ, ალბათ მომეჩვენა, მაგრამ მის მარცხენა თვალში ცრემლი შევნიშნე”- წერს ექსპერტი და აღნიშნავს, რომ პაატა ბურჭულაძის მიერ გაჟღერებული „დაღეჭილი” გეგმის შემდეგ, თუკი აქციის მონაწილეებმა რაიმე გეგმის მიხედვით ვერ განახორციელეს, მის გაკვირვებას საზღვარი არ ექნება.**

**– კარგ ბანს მიკროფონი არ სჭირდება, – ძველი ქიზიყური ანდაზაა. ასეთი მკაფიო გზავნილი და გეგმა, რაც პაატა ბურჭულაძემ თქვა გუშინ, მე ოსტაპ ბენდერის საიდუმლო პოლიტიკური შეკრების შემდეგ არ მსმენია. ბურჭულაძემ ბენდერის წარმატების ყველა ფორმულა გაიმეორა. მან უმიკროფონოდაც გარკვევით თქვა: „Всегда!” – რითაც ხაზი გაუსვა აქციების ხანგრძლივობას. ამას დაამატა: „Заграница не поможет!” – და აქ, ალბათ მომეჩვენა, მაგრამ მის მარცხენა თვალში ცრემლი შევნიშნე. და რაც მთავარია, მან სამგზის (მამლის ყივილამდე) გაიმეორა ის მთავარი „მესიჯი”, რაც აქამდეც უნდა ყოფილიყო „უწყვეტი” აქციების ძირითადი „ლოკომოტივი”: „რაღაც უნდა გავაკეთოთ! რაღაც უნდა გავაკეთოთ! რაღაც უნდა გავაკეთოთ!”. ასეთი „დაღეჭილი” სამოქმედო გეგმა მე ჯერ არ მსმენია და თუ დღეიდან რამე „ისე არ წაუვიდათ”, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ექნება“.**



# საქართველო სიჯანსაღის კუნძულად ჩანს ცრუ-ლიბერალიზმით დაზიანებული დასავლეთისთვის!

**საქართველო ძალიან ტრადიციულ ქვეყნად რჩება და ამავე დროს, დასავლეთიდან ყველაფერი კარგის და განვითარების მომტანის მიღების მოსურნედ,**– ასე უპასუხა პროფესორმა **ლევან გიგინეიშვილმა** **კონსერვატიული პორტალ geo-first.com-ის შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ სად ხედავს საქართველოს იმ ახალ მსოფლიო რეალობაში, რომელიც ახლა ჩვენს თვალწინ იქმნება.**

გიგინეიშვილის თქმით, საქართველო, რომელიც ტრადიციულ ევროპულ ცივილიზაციას მიაკუთვნებს თავს და ქრისტიანულ-განმანათლებლურ ტრადიციას ეფუძნება, სიჯანსაღის კუნძულად შეიძლება გამოჩნდეს დღევანდელი ცრუ-ლიბერალიზმით ძლიერ დაზიანებული დასავლეთისთვის.

**„ჩვენი მისწრაფება ევროპისადმი, ვფიქრობ, კვლავ ილიას და თერგდალეულების დადებულ საფუძველზე დგას: ანუ, ევროპა ცოცხალი სამეცნიერო და ფილოსოფიური აზრის, სოციო-პოლიტიკური პროგრესის, პიროვნების დაფასების და მისი პირადი სივრცის ხელშეუხებლობის დაცვის და ა.შ. ილიასეული ევროპა არ არის მოწყვეტილი ქრისტიანულ ფესვებს და ილიასთვის ევროპული განმანათლებლობაც ქრისტიანულ საფუძველზე დგას (თავად ილიას მთავარ კრიტერიუმად სახარების მცნებები აქვს აღებული – „ცნებისა ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული ჭკუით განჭვრეტდეს საზოგადო ცხოვრების დენას“ – და ევროპაში მიმდინარე ძვრებსაც ამ კრიტერიუმით აფასებს, ამიტომ აპრიორი სიკეთედ არ იღებს ყველაფერს და აკრიტიკებს კიდეც), ყოველ შემთხვევაში, მასთან დაპირისპირებული მაინც არაა.**



# იმპერატორ პეტრედან პრეზიდენტ პუტინამდე



## „პუტინი მალე მოკვდება, ეს ფაქტია და ამით ყველაფერი დამთავრდება“

**მინდოდა, გამორჩეულად უცნაური პატრიოტი ქართველი ახალგაზრდებისა და მათი მასწავლებლებისთვის კიევის რუსეთიდან პუტინის რუსეთამდე ჩვენი დიდი და იდუმალი მეზობლის ისტორია შემეხსენებინა, მაგრამ ერთი მოკრძალებული თხოვნით შემოვიფარგლები - გადახედეთ მსოფლიოს უდიდესი იმპერიის წარსულს, ჩემო ძვირფასო ადამიანებო.**

**თუმცა, ისტორიას გვერდს მაინც ვერ ავუვლი — იქნებ მეჩვენება კიდეც, მაგრამ იმპერატორ პუტინის რუსეთში შექმნილი ვითარება ძალიან ჰგავს იმპერატორ პეტრე დიდის (1672 – 1725 წ.წ.) ეპოქისას.**

**სწორად გამიგეთ – ვლადიმირ პუტინი კი არ ჰგავს პეტრე პირველს, ერთმანეთს ჰგავს მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის რუსულ იმპერიებში შექმნილი ვითარებები. კერძოდ, მაშინაც და ახლაც რუსეთი იბრძოდა და იბრძვის დასავლეთის ქვეყნების გავლენებისგან გათავისუფლებისა და საზღვაო გზების მოპოვებისთვის. მაშინაც და ახლაც რუსეთს უკან დასახევი გზა არ გააჩნდა და არ გააჩნია.**

იმპერატორი პეტრე იმიტომაც არის დიდი (ველიკი), რომ პრობლემებს თავი წარმატებით გაართვა, სიკვდილის პირას მისული ქვეყანა ევროპული გავლენებისგან გაათავისუფლა და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს იმპერიად აქცია. იგივე პრობლემა დგას პუტინის რუსეთის წინაშეც.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ უკრაინული სახელმწიფოს ისტორია 1917 წლიდან იწყება (გთხოვთ, კიევის რუსეთს და უკრაინას ერთმანეთში ნუ აურევთ!). უფრო ზუსტად, უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორია იწყება 1991 წლიდან, როცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) დაიშალა და მისმა წევრმა თხუთმეტივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ვწუხვარ, მაგრამ ზელენსკის უკრაინა არის იარაღი ევროპა-ამერიკის ხელში რუსეთის პეტრემდელ ეპოქაში დასაბრუნებლად. არც უკრაინის სახელმწიფო, არც უკრაინელი ხალხი, მათი ყოფნა-არყოფნა მათთვის არაფერს ნიშნავს – რუსეთიც და უკრაინაც უნდა დარჩნენ იაფი ნედლეულის მიმწოდებლებად „განვითარებული სამყაროსთვის“.

არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი რუსეთ-უკრაინის ომის უსასრულოდ გაჭიანურებისა და ამ ომში რაც შეიძლება მეტი ქვეყნის ჩართულობისთვის – გრანდიოზული შემოსავლები იარაღით ვაჭრობისა და შემდეგ დანგრეულ-გაპარტახებული ტერიტორიების აღდგენითი სამუშაოებისაგან.

**გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: რამდენიმე დღის წინ თავისი სიძუნწით სახელგანთქმულმა საფრანგეთმა უკრაინისთვის დამატებით ორმილიარდიანი დახმარება გაიმეტა. იმ საფრანგეთმა, რომელსაც კისერზე 3 ტრილიონ 200 მილიარდი ევროს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 114 პროცენტის ოდენობის საგარეო ვალი აწევს!**

საფრანგეთი მაგალითად მოვიყვანე, თორემ უკრაინა თავის მართლაც კლოუნ ზელენსკიანად ყველას ფეხებზე ჰკიდია. მთავარია სისხლიანი ფული, რაც ამ ომს იარაღის გაყიდვებიდან მოაქვს – რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ომი, მით მეტი შემოსავალი ექნება, მაგალითად, ირანული სამხედრო „დრონების“ მწარმოებელ კომპანიას.

ბუნებრივია, ეს იცის ყველამ და, მათ შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნებმაც– უკრაინასთან ომის დამთავრების შემდეგ რუსეთი აუცილებლად მათთვისაც მოიცლის (ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოთხოვნით). მეგობარი დასავლეთელები კი ტრიბუნული აღშფოთების იქით არ წავლენ. სწორედ ამ დასაბუთებული შიშებიდან მოდის მათი „მეგობრული“ რჩევები რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩაბმისთვის - ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, რუსეთის ბალტიური ოპერაცია გაურკვეველი დროით გადაიდოს. ხოლო თუ რუსეთის წინააღმდეგ ომში მთელი ამიერკავკასია და თურქეთიც ჩაებმებიან, რუსმა იქნებ ლიტვა-ლატვია-ესტონეთისთვის, საერთოდ, ვეღარ მოიცალოს.

**ზელენსკის უკრაინა არის იარაღი ევროპა-ამერიკის ხელში რუსეთის პეტრემდელ ეპოქაში დასაბრუნებლად. არც უკრაინის სახელმწიფო, არც უკრაინელი ხალხი, მათი ყოფნა-არყოფნა მათთვის არაფერს ნიშნავს — რუსეთიც და უკრაინაც უნდა დარჩნენ იაფი ნედლეულის მიმწოდებლებად „განვითარებული სამყაროსთვის“.**

აქედანვე მოდის, მაგალითად, ამერიკის, დიდი ბრიტანეთის თუ გერმანიის რაღაც უაზრო „სანქციები“ ქართველ პოლიტიკოსებსა და სამართალდამცავებზე; საერთოდ, „მეგობარი“ ევროკავშირის ერთი შეხედვით მოძალადეობრივი ულტიმატუმი: ჩაატარეთ ახალი არჩევნები (რა თქმა უნდა, ჩვენი მეთვალყურეობით); ციხიდან გაანთავისუფლეთ და პოლიტიკაში დააბრუნეთ მიხეილ სააკაშვილი; მიუერთდით ანტირუსულ სანქციებს...

ძნელი სავარაუდოა, „მეგობრებმა“ არ იცოდნენ, რომ ამგვარი მოთხოვნების შესრულება წარმოუდგენელია–ეს საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული იქნებოდა.

საქართველოს ხელისუფლებისადმი, შესაძლოა, დასაბუთებული პრეტენზიები გვქონდეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, იგი დღემდე კაცურად უძლებს არნახულ საგარეო თუ შიდა წნეხს და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

რაც შეეხება უკრაინის ხელისუფლებას და ქართველი ოპოზიციის მიერ „მსოფლიო პრეზიდენტად“ შერაცხილ ვოლოდიმირ ზელენსკის, მათზე ბევრჯერ მითქვამს და ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაწერილ სიტყვებს კიდევ ერთხელ გავიმეორებ:

**კიდევ უფრო რთული იქნება ჩვენი თანამემამულეების იმ ანბანურ ჭეშმარიტებაში დარწმუნება, რომ „მეგობარი“ ან „მტერი“ სახელმწიფო კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არსებულა და არც ახლა არსებობს. მათ შორისაა რუსეთიც ისევე, როგორც, ირანი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთის სამეფო, საფრანგეთი, გერმანია, კორეა, ჩინეთი ან ლუქსემბურგი...**

**„დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ამ ადამიანზე საქართველოში მოკრძალებული კრიტიკაც ისმის. მისი ზეკაცად შერაცხვის მოსურნეთა რაოდენობა კი საეჭვოდ დიდია – ზელენსკი ბრძენია, გმირთაგმირია, თავდადებულია, შეუპოვარია, უშიშარია, დაუმარცხებელია, მსოფლიო პრეზიდენტია!...**

**უკრაინის პრეზიდენტი ყველა ამ ეპითეტის ღირსი მაშინ იქნებოდა, რუსეთთან ურთიერთობა უომრად რომ მოეგვარებინა (თუნდაც ერთ-ერთი ვაშაძის დონის პოლიტიკოსი რომ ვყოფილიყავი, ამას არ ვიტყოდი!). კაცმა მოძმე კარის მეზობელ ქვეყანასთან ომის თავიდან აცილება ვერ შეძლო, ნახევარი ქვეყანა ნანგრევებად აქცია, ათასობით თანამემამულის სიცოცხლე შეიწირა, ტრილიონობით დოლარის ზარალი ნახა, ეკონომიკა გააჩანაგა, პირდაპირი გაგებით – ხელგაწვდილ მათხოვრად იქცა, მსოფლიოს უამრავ ქვეყანას უზარმაზარი პრობლემები შეუქმნა...**

**თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საქართველო მოძმე გულგრილ მეზობელ უკრაინას ყველანაირად მხარში უდგას – პოლიტიკურადაც, იდეურადაც, ეკონომიურადაც. ზელენსკის გული კი ვერა და ვერ მოვიგეთ – რასაც ვაკეთებთ, იმის სამადლობლად სიტყვას ვერ იმეტებს; რასაც ვერა, იმაზე კი ქვეყნიერების გასაგონად გვამუნათებს – საქართველომ რუსეთს ომი უნდა გამოუცხადოს, ეს უკრაინას ცოტათი მაინც ამოასუნთქებსო!**

**ნაცური ოპოზიციაც ტაშს უკრავს!**

**ომი მალე დამთავრდება. ისიც გაირკვევა, სინამდვილეში რა ამოძრავებდა ზელენსკისა და მის ამქარს თავისი ქართული ნაცნარჩენებიანად. ამიტომ ჩემი მეგობრული რჩევაა უკრაინის პრეზიდენტისადმი – მშვიდობის გეშინოდეს, ზელენსკი!“**

სხვათა შორის, ზელენსკის უვიცობაზე, ცინიზმზე და ფეხებზემკიდიაობაზე მისი ეს ბოლო დროინდელი გამონათქვამიც კარგად მეტყველებს: **„პუტინი მალე მოკვდება, ეს ფაქტია და ამით ყველაფერი დამთავრდება“.**

სრულწლოვან კაცს, ევროპის ერთი უდიდესი და უმდიდრესი ქვეყნის პრეზიდენტს (მერე რა, რომ გუშინ კლოუნი იყო!) ისტორიის განვითარების კანონზომიერებაზე კი არა, ზოგადად, ისტორიის არსებობაზე ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვს!

მისი ამ სიტყვების წამკითხველს ჩვენი გადიდპოლიტიკოსებული დემაგოგი, ბატონი ხუხაშვილი გაგახსენდება: **„ამერიკელებმა თქვეს –სომხებს, თურქებს მე დაველაპარაკები და ქართველებზე რა ვქნათო? რუსებმა უთხრეს – ქართველები ჯიბეში გვყავს, ჩვენ დავალაგებთ ქართველებთანო. ამ მოცემულობაში აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა. უბედურებაში გადაგვჩეხა ამ ხელისუფლებამ“.**

ვიცი, სააკაშვილზე, გვარამიაზე და სალო ბაზოზე შეყვარებული „პატრიოტების“ (განსაკუთრებით – მდედრობითი სქესისა) წყევლა-კრულვას და დედის გინებას ვერ ავცდები, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას. ხვალ ომი დამთავრდება. ჩვენ, საქართველოს, უეჭველად მოგვიწევს მშვიდობიანი და რაციონალური მოლაპარაკებების დაწყება ჩვენს დიდ მეზობელთან.

სალაპარაკო და შესათანხმებელი კი, იცოცხლეთ, ბევრი გვაქვს – ტერიტორიების დაბრუნება, სავაჭრო და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, კულტურული ურთიერთობების აღდგენა...

**კიდევ უფრო რთული იქნება ჩვენი თანამემამულეების იმ ანბანურ ჭეშმარიტებაში დარწმუნება, რომ „მეგობარი“ ან „მტერი“ სახელმწიფო კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არსებულა და არც ახლა არსებობს. მათ შორისაა რუსეთიც ისევე, როგორც, ირანი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთის სამეფო, საფრანგეთი, გერმანია, კორეა, ჩინეთი ან ლუქსემბურგი...**



თეიმურაზ ქორიძე

02. 04. 2025.

საქართველოს რესპუბლიკა

კითხული კაცის აზრი

№48. ოთხშაბათი, 2 აპრილი, 2025 წელი



**ჯუმბერ სარდლიშვილი:**

# ევროპა საფრთხეშია!

## რატომ აყალბებენ ერის ცნებას?!

**ჰეგელი „გონის ფილოსოფიაში“ წერს: „თავის უშუალობაში გონი ჯერ კიდევ ჭეშმარიტი არაა, მას თავისი ცნება ჯერ კიდევ თავის საგნად არ გაუხდია, ის, რაც მასში უშუალოდაა მოცემული, მას ჯერ კიდევ თავის მიერ დადგენილად არ გარდაუსახავს, თავისი სინამდვილე თავისი ცნებისადმი შესატყვის სინამდვილედ არ გარდაუქმნია. გონის მთელი განვითარება სხვა არა არის რა, თუ არ მისი თვითამაღლება თავის ჭეშმარიტებამდე. და ე.წ. სულიერ ძალებს სხვა საზრისი არა აქვთ რა, გარდა იმისა, რომ ამ ამაღლების საფეხურებს წარმოადგენდნენ“.**



**თუ გონს შეუძლია თავისი ცნება საგნად გაიხადოს, დაინახოს ის, რაც მასში უშუალოდაა მოცემული და თავისი სინამდვილე თავისი ცნებისადმი შესატყვის სინამდვილედ გარდაქმნას, რატომ არ შეუძლია ისეთი ცნებები გაიხადოს საგნად, როგორებიც გახლავთ იდეოლოგიის, დემოკრატიის, თავისუფლების, უფლებების, ერის, საზოგადოების, სახელმწიფოს ცნებები და ცნებისადმი შესატყვის სინამდვილედ გარდაქმნას? ეს ხომ მეცნიერული კვლევის პროცესია, რომელმაც ჭეშმარიტების დადგენამდე უნდა მიგვიყვანოს? სამწუხაროდ, როცა საქმე პოლიტიკასთან, პარტიებთან და იდეოლოგიებთან გვაქვს, აზროვნების მიზნობრიობა ჭეშმარიტებას არ ემსახურება.**

**დღეს ჩვენი მსჯელობის საგანი გახლავთ ეროვნული ერთობის არა პოლიტიკურად მოტივირებული დეფინიცია ცნებისა, არამედ მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული გზა ჭეშმარიტებამდე.**

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებთ; ეთნიკურად ქართველი, ეთნიკურად სომეხი, ეთნიკურად რუსი და ასე შემდეგ. მარქსისტული თვალსაზრისით საბჭოთა მეცნიერებას მიაჩნდა, რომ „ეთნიკური თვითშეგნება ყალიბდება ბავშვის მთელი განვითარების მანძილზე“. გთხოვთ, დააკვირდეთ! ეთნიკური კულტურა პოპულაციის ნაყოფია; თავისი ენით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, მატერიალური და სულიერი ღირებულებებით. გამოდის, რომ პოპულაცია ანუ მოდგმა თავისი კულტურით განსაზღვრავს თავის ეროვნულ კუთვნილებას. ლოგიკურად მიდის ყველაფერი იქითკენ, რომ მაღიარებინონ ის, რაც ჭეშმარიტებას მოკლებულია. სინამდვილეში დედამიწაზე არსებულ ყველა პოპულაციას ბიოლოგიური ფესვები აქვს. უნიკალური სიღრმისეული განსაზღვრულობა ქმნის პოპულაციას უნიკალურს, რაც ეთნიკურში აისახება და არა პირიქით. **კულტურა შედეგია და არა საფუძველი. თუმცა უკუქმედების უნარიც გააჩნია.**

ეროვნებით ქართველისა და ეთნიკურად ქართველის ცნებები არსებითად განსხვავებულია, იმიტომ, რომ საფუძვლები აქვთ სხვა და სხვა. ეროვნებით ქართველის ცნება ეფუძნება ფსიქოგენეტიკურ და ბუნებრივ-ტერიტორიულ (ლანდშაფტურ) მოცემულობას, ხოლო ეთნიკურად ქართველის ცნება – ხალხის ანუ ეთნოსის კულტურას.

**დღეს, განსაკუთრებით, ევროპული ერები ძალადობრივი მიგრაციების ქვეშ იმყოფებიან, რაც შემთხვევითი არ გახლავთ. გენეტიკური შესაძლებლობები, რაც ბიოლოგიურ სხეულს არღვევს პოპულაციაში, ნეოლიბერალური მარქსისტების ხელში ატომურ ბოროტებას აღემატება. ე.წ. მეგობრები, იდეოლოგიური სიცრუით განსწავლულები, თავიანთ პოპულაციებს საკაცობრიო სივრციდან აქრობენ. ვამბობდი და ვამბობ: ევროპა საფრთხეშია!**

ნათელყოფა იგივე ჭეშმარიტებაა. შევეცადოთ საკითხს ნათელი მოვფინოთ. საბჭოთა მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ „ეთნოსი სოციალური მოვლენაა“. მეტიც, „გარკვეული საზოგადოებრივი ერთობის წარმონაქმნია“. კეთილი, ბატონებო, მაგრამ საზოგადოებრივმა წარმონაქმნა როგორ უნდა წარმოქმნას პოპულაცია? ყოველ ინდივიდს პოპულაციაში ორი ბუნებრივი მახასიათებელი გააჩნია; ზოგადადამიანური და უნიკალური.

**წარმოგიდგენთ ამონარიდს 2016 წლის 6 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ჩემი პუბლიცისტური წერილიდან:**

„მელოდიური რიტმული, ჰარმონიული და ინტონაციური მრავალფეროვნება ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ვაშლში, ატამში ან მსხალში არომატი და გემო. ვაშლის ყოველი ჯიში თავის თავში ვაშლობასაც, ანუ თავის ზოგადობასაც შეიცავს და ერთი ჯიშისთვის დამახასიათებელ უნიკალურობასაც. ცოცხალ სამყაროში მგრძნობელობა ისეა მომართული, ვაშლის ზოგადობა და უნიკალურობა ცხადდება ისე, როგორც ვაშლი ამჟღავნებს თავის თავს.

ადამიანიც, როგორც ბუნებრივი არსება, თავის თავში აერთიანებს თავის ზოგადსაც და უნიკალურსაც“. „უნიკალური და ზოგადადამიანური ერთი მთლიანობაა, ორი ადამიანური საწყისია და ორივე დიდი საკაცობრიო ღირებულებისაა. ისინი ადამიანში ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, მათ ვერ აღიქვამ როგორც ადამიანურ და არაადამიანურ მხარეს“. „ადამიანის ამ ორმა ბუნებრივმა მახასიათებელმა კაცობრიობას ორგანზომილებიანი სივრცე შეუქმნა:

### 1. ეროვნული განზომილება, რომლის ელემენტია ინდივიდი;

### 2. საზოგადოებრივი განზომილება, რომლის ელემენტია პიროვნება.

**ინდივიდუალურობა და ზოგადადამიანურობა ადამიანის ორბუნებოვნებაა. ამიტომ არის პიროვნება უნიკალურობის მატარებელი, ხოლო საზოგადოება – ეროვნული“.**

ეროვნული განზომილება ბუნებრივ სივრცეშია. ინდივიდების ჯგუფი, რომელიც არაფერს ქმნის, ჯოგია. ბუნებრივ სივრცეში ეროვნული განზომილება ჩნდება მაშინვე, როგორც კი ინდივიდში ბუნებრივი უნიკალურობა გააქტიურდება. საგანი, რომლის შექმნაც ინდივიდმა შეძლო, ჯერ აღებ-მიცემობის საგანი არ არის. კულტურული სივრცე ოჯახის ან გვარის ფარგლებიდან არ გასულა. აზრი, რომ „ეთნოსი სოციალური წარმონაქმნია“, ან მარქსიზმ-ლენინიზმის გამიზნული სიცრუეა, ან მეცნიერებისთვის შეურაცხმყოფელი მონაჩმახი. როგორც ატმის კურკაშია ატმის ჯიშობრივი უნიკალურობა და ზოგადატმისებური მახასიათებელი, ასევე, ადამიანშია ის, რაც მის ეროვნულობას დაადასტურებს. ეს ასე რომ არ იყოს, დეენემი ვერ დაადასტურებდა მშობლისა და შვილის კავშირს და ვერც გენეტიკური კვლევით დაადგენდნენ ადამიანის პოპულაციურ კუთვნილებას.

პუბლიცისტიკაში მათემატიკურ გამოთვლებს ალელთა სიხშირესა და გენოტიპის სიხშირეს შორის, არ მიმაჩნია, რომ უნდა ჩავუღრმავდეთ, თუმცა სპეციალისტების აზრით, „პოპულაციაში გენების ქცევის მათემატიკური შეფასება ბევრი დისციპლინის მნიშვნელოვანი ელემენტია, მათ შორის; ანთროპოლოგიის, ევოლუციური ბიოლოგიისა და ადამიანის გენეტიკის“. ამჟამად ადამიანის გენეტიკის სპეციალისტები იყენებენ პოპულაციური გენეტიკის პრინციპებსა და მეთოდებს, რათა პასუხი გასცენ მრავალ უპასუხოდ დატოვებულ კითხვას, რომლებიც შეეხება ადამიანების პოპულაციების ისტორიას და გენეტიკურ სტრუქტურას“

ინგლისელი მათემატიკოსის გოდფრიდ ჰარდისა და გერმანელი ექიმის ვილჰელმ ვაინბერგის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიქმნა მათემატიკური განტოლება, რომლის საშუალებით ხდება გენოტიპების სიხშირეების გამოთვლა ალელთა სიხშირეების მიხედვით. ამას ეწოდა ჰარდი-ვაინბერგის კანონი. ამ კანონზე ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ პოპულაციური გენეტიკის ქვაკუთხედი გახდა. კანონში რამდენიმე დაშვებაა. პოპულაცია, რომელიც ამ დაშვებას პასუხობს, ჰარდი-ვაინბერგის წონასწორობაში იმყოფება. აი, სპეციალისტების დასკვნა: „ჰარდი-ვაინბერგის კანონის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ის არის, რომ თუ ალელთა სიხშირეები თაობიდან თაობაში არ იცვლება, მაშინ უცვლელი რჩება გენოტიპების თანაფარდობაც: ე.ი. პოპულაციის გენოტიპის სიხშირეები თაობიდან თაობაში უცვლელი დარჩება და იქნება წონასწორობაში“.

დამეთანხმებით მნიშვნელოვანი დასკვნაა. მიაქციეთ ყურადღება გენეტიკოსთა კიდევ ერთ დასკვნას: „ალელთა სიხშირე არ უნდა იცვლებოდეს დროთა განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ პოპულაციიდან პოპულაციაში არ უნდა ხდებოდეს ჯგუფების მიგრაცია“. და წაიკითხეთ სავალალო დასკვნა: „ახალი ალელების შემოტანა გენოფონდში გამოიწვევს ჰარდი-ვაინბერგის წონასწორობის კანონის დარღვევას“. რაც ერებს გადაშენებამდე მიიყვანს. დღეს, განსაკუთრებით, ევროპული ერები ძალადობრივი მიგრაციების ქვეშ იმყოფებიან, რაც შემთხვევითი არ გახლავთ. გენეტიკური შესაძლებლობები, რაც ბიოლოგიურ სხეულს არღვევს პოპულაციაში, ნეოლიბერალური მარქსისტების ხელში ატომურ ბოროტებას აღემატება. ე.წ. მეგობრები, იდეოლოგიური სიცრუით განსწავლულები, თავიანთ პოპულაციებს საკაცობრიო სივრციდან აქრობენ. ვამბობდი და ვამბობ: ევროპა საფრთხეშია!

**(გაგრძელება მორიგ ნომერში)**





**ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილს, გამარჯვებები აკვნიდანვე დაებედა და ამქვეყნად მისი მოზრძანებიდან რამდენიმე კვირაში კაცობრიობის პროგრესულმა ნაწილმა ფაშიზმი გასრისა, რასაც აგერ უკვე მე-80 წელიწადია საზეიმოდ აღვნიშნავთ.**

**ზოგი იტყვის, უბრალოდ დამთხვევააო, მაგრამ ბუნებაში ხომ შემთხვევით თითქმის არაფერი ხდება?**

**მართალია, ბატონ ელგუჯა ბუგუშვილთან დაახლოება გარკვეულწილად ჩვენი სულმნათი ძვირფასი საერთო მოკეთე ქალბატონის, მისი ნიჭის დიდად დამფასებელი მეცნიერ-თანამშრომლის თამარ ბარბაქაძის სახელსაც უკავშირდება, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი მაინც მისი უდიდებულესობა ფეხბურთი აღმოჩნდა.**

**დაახლოებით 30 წლის წინათ ჩვენი წერილის გმირი თურქმენეთში იქაურ ეროვნულ ნაკრებსა და „კოპეტდაღს“ ავარჯიშებდა, სადაც წამყვან როლს თამაშობდნენ პაატა ჭუმბურიძე, ბუბა ცყავაძე და პაატა გოგოლაძე, საშინაო წარმატებათა კვალდაკვალ კი ამ გუნდმა ღირსეულად იასპარეზა მოსკოვში გამართულ იმხანად პოპულარულ დსთ-ს თასზეც. იმ ტურნირზე თბილისის დინამოს მეც ვახლდი და, ბუნებრივია, პროფესიონალიზმით გამორჩეულ თანამემამულესთან ინტერვიუც ჩავწერე.**

**ყველაფერი რამდენიმე კოლეგასთან ერთად აშხაბადში მიწვევით, იქ მეფური გამასპინძლებითა და თურქმენბაშის ასევე ტრადიციულ თასზე გატარებული დაუვიწყარი რამდენიმე კვირით დასრულდა...**

# მოწოდებით — გამარჯვებული

## სამწვრთნელო კარიერა

**საქართველოს თასის 3-გზის მფლობელი (თბილისის სინათლე), საბჭოთა კავშირის მილიონთა თასის გათამაშების ორგზის გამარჯვებული (თბილისის სინათლე), მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უცხო ქვეყნის (თურქმენეთი) ეროვნული ნაკრების პირველი ქართველი მთავარი მწვრთნელი, ევროკავშირის ქვეყნებში მიწვეული პირველი ქართველი მთავარი მწვრთნელი (საბერძნეთის იანინა, უმაღლესი ლიგა), საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა, საქართველოს პირველი ოლიმპიური, იგივე ახალგაზრდული (შოთა ჭეიშვილის ასისტენტად. იქ თამაშობდნენ არველაძეები, კობიაშვილი, კალაძე, იაშვილი), სტუდენტთა, რეგიონულ და სპორტსაზოგადოებათა ნაკრებების მთავარი მწვრთნელი.**

**კლუბები: ზოოვეტი, მორკინალი, ვიტ ჯორჯია, ალგეთი, თურქმენეთის კოპეტდაღი.**

**47 საპრიზო ადგილი, მათ შორის: სსრკ პირველობა სპორტსაზოგადოებათა შორის – პირველი ადგილი, სსრკ უნივერსიადა – მეორე ადგილი, საქართველოს თასის მფლობელი, საქართველოს უნივერსიადა – პირველი ადგილი, თბილისის ჩემპიონატის მრავალგზის გამარჯვებული და დედაქალაქის სპარტაკიადის ჩემპიონი. ანდრო ჟორდანიას თასის 4-გზის და ბენდელას თასის 5-გზის მფლობელი.**

ვიმეორებთ, ეს აკადემიკოსის, მეცნიერებათა დოქტორის, ბოცვრის ახალი ქართული ჯიშის – პელეს ავტორის, საქართველოს ზოოვეტერინარული უნივერსიტეტისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის, ნიუ იორკის აკადემიის წევრის, კემბრიჯის უნივერსიტეტის ჯილდოს '21-ე საუკუნის ნაშრომისათვის" მფლობელის, გარდაბნის საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის კავალრის, 227 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 23 რეკომენდაციის, 5 წიგნის და 1 მონოგრაფიის ავტორის, საქართველოს და თურქმენეთის დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის ნამოღვაწარის მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია, ყველაფერი კი ასე დაიწყო:

– განთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაში **სერგო შუდრა** მავარჯიშებდა, ხოლო შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში **ნიაზ ძიძიგურამ** მიმიწვია, მოგვიანებით კი კარიერა დედაქალაქის სინათლეში განვაგრძე. ამ გუნდის მეკარემ მრავალჯერ მოიპოვე რესპუბლიკის თასი და ორჯერ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის საკავშირო თასსაც დავეუფლე. სხვათა შორის, მეორე ტიტული კურიოზული ფაქტითაცაა გამოსარჩევი.

**– ალბათ, მოსკოვის სტრელასთან 1968 წელს კისლოვოდსკში გამართულ გახმაურებულ მარათონულ ფინალს გულისხმობთ, რომლის გამარჯვებულიც მესამე შეხვედრის პენალტების სერიამ გამოავლინა.**

– დიახ, სწორედ იმ ნერვების ომს და მეამაყება, რომ გაჭიანურებულ საფეხბურთო ლატარეაში ოთხივე პენალტი გავიტანე.

## „თქვენი ბუცებით გათელილ ბალახს მე კოცნით გავასწორებდი“...



„ზოოვეტი 1983“ — საქართველოს თასის მფლობელი

**– საინტერესოა, მწვრთნელობა როდის დააჭაშნიკეთ?**

– როგორც მოგეხსენებათ, მაშინ თბილისის სასკოლო პირველობები ტარდებოდა და მეც, 113-ე საშუალო სკოლის 14 წლის მეშვიდეკლასელმა, ჩვენი სკოლის გუნდი ჩამოვაყალიბე, რომელიც ნახალოვკაში შრომითი რეზერვების სტადიონზე ვარჯიშობდა. ჩემპიონობასაც იმ ბიჭებთან ერთად გავუსინჯე გემო, და ამიტომაცაა პირველი წარმატება დაუვიწყარი.

**– მართალი ბრძანდებით, თუმცა თქვენთვის შვილივით ძვირფასი ზოოვეტის ეპოქაც გამარჯვებებთან თავიდანვე ასოცირდებოდა.**

– ერთი შეხედვით, ასე ჩანდა, მაგრამ როცა სტუდენტი გავხდი და იქაურ ნაკრებს ჩავუდექი სათავეში, არც მინდორი გაგვაჩნდა და არც სპორტული ინვენტარი. დიახ, ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ და სწორედ ტიტანურ შრომას ვუმადლით იმ ტრიუმფალურ ოქროს ხანას, სტაჟიან გულშემატკივარს დღესაც რომ ტკბილ მოგონებებს აღუძრავს.

**– ალბათ, საწვრთნელ შეკრებაზე იმ პერიოდის მრისხანე კიევის დინამოსთან მოპოვებული გამარჯვება მაინც განსაკუთრებულად უნდა მივიჩნიოთ მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს რამდენიმე ლიდერი აკლდა, რადგან უკრაინელთა დუბლიორებიც ნამდვილი ოსტატები იყვნენ.**

– რა თქმა უნდა, და იმის დასტურად, რომ ჩვენც ძლიერი გუნდი ვიყავით და ის ძლევაი საკვირველი ჰაერიდან არ მოსულა, დაგისახელებთ ზოოვეტის დანარჩენ მსხვერპლებსაც: მოსკოვის ტორპედო და დინამო, დონეცკის შახტიორი, საფრანგეთის ნანტი, გერმანიის საარბრიუკენი, ფინეთის როვანიემი და კუოპიო პალოსეურა, სსრკ ახალგაზრდული ნაკრები. ეს ისე, ცნობისათვის. დამეთანხმებით, მრავლისმთქმელი ნუსხაა.

**– კი ბატონო, ასეთ ჩამონათვალს ნებისმიერი პროფესიონალი მოაწერდა ხელს, მაგრამ ვიდრე მორიგ თემაზე გადავალთ, მოდით, ნურც იმ ფაქტს დავივიწყებთ, რომ თქვენმა 10-მა აღზრდილმა საკავშირო უმაღლეს ლიგაში ითამაშა და 25-მა სხვადასხვა ნაკრების ღირსება დაიცვა, ნუკრი კაკილაშვილის, ზაზა რევიშვილისა და სოსო ფრუიძის სახელები კი სამამულო ფეხბურთის მშვენებას წარმოადგენენ. ბუნებრივია, მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ გუნდის პრეზიდენტები – რექტორი გოგოთურ აგლაძე, ჯონი გიგანი და გურამ რუხაძე, თქვენი სამწვრთნელო შტაბის წევრები და თანამებრძოლები – ოთარ კორღალიძე, სპარტაკ არჩვაძე, ოთარ კერესელიძე, გელა მენაბდე, ილია ბიძინაშვილი, ქართლოს და კახა ჭუმბურიძეები, გია ჯიქია, დათო რუხაძე, ზახვა იმნაძე, თენგიზ კუზლაშვილი და თედო კალანდაძე, რომლებთან თანამშრომლობითაც შეუძლებელი შესაძლებელი გახადეთ. ახლა კი, ვფიქრობ, მოვიდა დრო თქვენ თურქმენულ გამოწვევაზე გადავიდეთ. როგორ აღმოჩნდით შუა აზიაში?**

– ჩემი იქ წასვლა სამთავრობო დონეზე მოხდა და ყველაფერი თურქმენეთში საქართველოს ელჩის **ჰენრი პატარაიას** შუამდგომლობის შედეგი გახლდათ. არც იმას დავმალავ, რომ გადაწყვეტილება ნაუცბათევად არ მიმიღია და კონტრაქტს ხელი მხოლოდ იქაური სიტუაციის გაცნობის, ვითარების აწონ-დაწონვისა და ორთვიანი ფიქრის შემდეგ მოვაწერე. მასპინძლები რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად სერიოზულად იყვნენ განწყობილნი, იმითაც დასტურდებოდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ფუნქციას ქვეყნის ვიცე-პრემიერი და პარალელურად – საგარეო საქმეთა მინისტრი **შახმურადოვი** ითავსებდა.

**– წერილის შესავალში აღვნიშნე, რომ სამწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში წარმატებებს მიაღწიეთ როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე. ვინაიდან ეროვნული გუნდი სახელმწიფოს სახეა, იქნებ უფრო დავაკონკრეტოთ სანაკრებო თემატიკა.**

– სიამოვნებით, დასკვნა კი თვითონ გამოიტანეთ, მით უმეტეს, სწორედ იმ პერიოდში კოლეგებთან – **გია ცუხაშვილთან** და **მამუკა კვარაცხელიასთან** ერთად თქვენც იმყოფებოდით აშხაბადში და მეტ-ნაკლები შთაბეჭდილება მაინც შეგექმნებოდათ იქაურობაზე, სადაც ჩემი ჩასვლის დროს ერთი სრულყოფილი სტადიონიც კი არ ჰქონდათ (სავარჯიშოც!).

მოკლედ, მაშინ 18 მატჩი მოვიგეთ, 2 ფრედ დავასრულეთ და მხოლოდ 3 წავაგეთ. ამ მხრივ ყველაზე შთამბეჭდავია 1997 წლის სეზონის შედეგები – 8 გამარჯვება და 1 ფრე ბურთების შეფარდებით 18:2(!), თანაც დავამარცხეთ ლატვია – 1:0, ბელარუსი – 3:0, ესტონეთი – 1:0, უზბეკეთი – 3:0, სომხეთი – 3:0, უკრაინა – 2:1 და ირანი – 1:0. ასე რომ, მუნდიალის შესარჩევი რაუნდისთვის (ჩინეთი, ვიეტნამი, ტაჯიკეთი) გარკვეული ოპტიმიზმით ვემზადებოდით, მაგრამ მოულოდნელად სამშობლოში მომიწია დაბრუნება. რას ვიზამთ, ძნელია მეცნიერებისა და სპორტის შეთავსება და ხანდახან ამას რომელიმეს ინტერესები ეწირება, მით უმეტეს, კონტრაქტის ვადაც ამოიწურა.

**– იქნებ, ირანთან პრინციპულ ბრძოლაში მოპოვებულ სენსაციურ გამარჯვებაზეც შევაჩეროთ ყურადღება.**

– მასპინძლები აზიის თასისთვის ხასიათის გამოკეთებას ჩვენთან აპირებდნენ, სადაც მესამე ადგილი დაიკავეს, და 80 ათასი გულშემატკივრით დაგვხვდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს შეხვედრა მათ ეროვნულ დღესასწაულს დაემთხვა, მაგრამ ჩვენ საკუთარი მიზანი გვქონდა და ფავორიტს ზეიმი ჩავუმწარეთ – 1:0. ისინი შინ 10 წლის განმავლობაში დაუმარცხებელნი იყვნენ!

**ბატონო ელგუჯა! ქართული ფეხბურთი და მეცნიერება კვლავაც თქვენი ნამოღვაწარის მოლოდინშია, ჩვენი გაზეთი კი ისევ ერთგულ მეგობრად იგულეთ. მრავალჟამიერ, 80 წლის სასახელო იუბილარო!**

**გია პლატონიშვილი**



დარიგება მატჩის წინ



## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

## აუცილებელი ინფორმაცია:

**მიხეილ (მიხა) ივანეს ძე ბარამია** (1905-1959 წ.წ.) დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. იყო პარტიის წალენჯიხისა და თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი, 1939-1940 წ.წ. – პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1940-1943 წ.წ. – აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1943-1951 წ.წ – საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მეორე მდივანი. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებით. განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამუშაოზე: ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, „იმელის“ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. დაიღუპა უბედური შემთხვევის შედეგად კელასურთან, რკინიგზის გადასასვლელზე.

**ავქსენტი (ჭიჭიკო) ნარიქის ძე რაფავა** (1899-1955 წ.წ.). დაიბადა ზუგდიდის მაზრის სოფელ კორცხელში, მეწულის ოჯახში. 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს ერთგული მსახურია. იყო პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, მუშგლეხინის ინსპექტორი. 1924 წელს პარტიამ ჩეკაში გაგზავნა სამუშაოდ. იქ 13 წლის სამსახურის შემდეგ (მიაღწია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოსტს) გადაიყვანეს აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, შემდეგ – სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ. 1938 წლის 17 ნოემბრიდან, როცა სერგო გოგლიძე ლენინგრადში გადაიყვანეს, დანიშნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, 1946 წელს – სახელმწიფო უშიშროების სახკომად. ერთგულად აგრძელებდა გოგლიძე-ქობულოვის ინკვიზიციურ მეთოდებს. ეს მის სინდისზეც არის იმ პერიოდის არადამიანური დანაშაულობანი. 1948 წ. 11 იანვარს გაათავისუფლეს და იუსტიციის მინისტრად დანიშნეს. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო. „მეგრელთა საქმის“ დასრულების შემდეგ, 1953 წ. აპრილ-ივნისში, საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრია. მაგრამ უშიშროების სამსახურში ჩადენილმა ცოდვებმა უწია: 1954 წელს ხელახლა დააპატიმრეს, 1955 წლის ნოემბერში კი სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით დახვრიტეს. სასამართლოზე ითქვა, რომ მისი ბრძანებით გაირჩა 5685 პატიმრის საქმე, მათგან 2465 კაცი დახვრიტეს. ითვლება საერთო რეპრესიების ერთ-ერთ ორგანიზატორად. მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის წოდება, დაჯილდოებული იყო 8 ორდენით.

**ვლადიმერ იაკობის ძე შონია** (1907-1979წ.წ.). დაიბადა გალის რაიონის სოფელ ხუმუშკურში. 1917 წ. დაამთავრა სამურზაყანოს ორკლასიანი სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა ალექსანდროვ-გრუშევსკის (ქ. შახტი) საეკლესიო სამასწავლებლო სემინარიაში, მაგრამ უსახსრობის გამო სემინარია დატოვა. 1918 წელს სოხუმის სამასწავლებლო სასწავლებელში შედის. მალე „სპარტაკის“ წევრი ხდება, 1920 წლის მაისში – სოხუმის ორგანიზაციის მდივანი. 1921 წლის მარტის დასაწყისში სამურზაყანოს მაზრის რევკომის წევრად აირჩიეს, აპრილში კოდორის მაზრის ჩეკას უფროსად დანიშნეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრად, ამიერკავკასიის სფსრ პროკურორის მოადგილედ, აფხაზეთის ასსრ პროკურორად. 1946 წლის დეკემბრიდან 1951 წლის ნოემბრამდე საქართველოს სსრ პროკურორია. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო „მეგრელთა საქმეთან“ დაკავშირებით. რეაბილიტაციის შემდეგ, 1953-1954 წლებში აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა. მინიჭებული ჰქონდა იუსტიციის II კლასის სახელმწიფო მრჩევლის წოდება. უკანასკნელ დრომდე გალის ერთ-ერთ მთავარ და კეთილმოწყობილ ქუჩას მისი სახელი ერქვა.

**კონსტანტინე გიორგის ძე ჭიჭინაძე** (1901-1960წ.წ.). დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. დაამთავრა სოფელ კიწიის სასულიერო სკოლა (სამასწავლებლო კურსი). მუშაობდა ცეკავშირის სისტემაში. 1928 წ. კომპარტიის წევრი გახდა და მას შემდეგ სულ პარტიულ სამუშაოზე იყო. 1930-1936 წლებში ჯერ ხობის, შემდეგ ყვარლის რაიკომის მეორე მდივანი და სენაკის რაიკომის პირველი მდივანია. 1938-1939 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ასსრ საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, 1939-1943 წლებში-სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ. 1943 წლის ბოლოდან საქ. კპ(ბ) ცკ-ის აპარატშია: ჯერ – ცენტრალური კომიტეტის მდივნად მეცხოველეობის დარგში, ხოლო შემდეგ – პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგედ. 1951-1954 წლებში კი – საქართველოს „ვტორჩერმეტის“ მმართველად. დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის I ხარისხის, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით. დარჩა ორი ვაჟი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარი და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატი ვახუშტი.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №47



საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მიხა ბარამია

* * *

**დადგენილების სათაური, რომელიც სრულად წარმოაჩენს მის შინაარსს, ყურადღებას იქცევს თავისი ალოგიკურობით.**

რატომ უნდა „შეპირაპირებოდა“ ერთმანეთს მექრთამეობა და ანტიპარტიულობა, რატომ უნდა გაერთიანებულიყო ერთ წინადადებაში ეს ორი განსხვავებული ცნება?

ალბათ, სპეციალურად იყო ეს გაკეთებული, რათა ხალხს გაეცნობიერებინა, პოლიტიკური დანაშაული იგივე კრიმინალური დანაშაულიაო. თანაც შესაძლებლობა ეძლეოდა, რომ ემარჩიელა, თუ როდემდე დარჩებოდა ანტიპარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი ბარამია „ამხ. ბარამიად“.

თავდაპირველად თბილისში ვერ მოვიძიე სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ ტექსტი. მოგეხსენებათ, მაშინ წესად ჰქონდათ, ასეთი რანგის დოკუმენტი, თუ პრესაში გამოსაქვეყნებლად არ იყო გამიზნული, ცენტრიდან რესპუბლიკებში მკაცრად აღნუსხული რაოდენობით ჩამოდიოდა, აქ განხილვის შემდეგ უკანვე ბრუნდებოდა ან ადგილზე ნადგურდებოდა სათანდო ოქმის შედგენით. მისი შინაარსი მიახლოებით აღვადგინე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1951 წ. 15 ნოემბრის დახურული წერილით „მექრთამეობასთან ბრძოლისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, რომელიც მფარველობას უწევს მექრთამეებს და სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლებს“ (უფრო ზუსტად, ამ დახურული წერილის ადგილებზე განხილვის ოქმებით), რომელიც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მას შემდეგ დააგზავნეს, რაც სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების შესახებ ორი დღე – 1951 წლის 11 და 12 ნოემბერს იმსჯელა საქ. კპ(ბ) ცკ-ის პლენუმმა.

მაგრამ ახლა, როგორც ნახეთ, საშუალება მაქვს, ეს დადგენილება სრული სახით მივაწოდო მკითხველს (ისიც და სკპ(ბ) ცკ-ის 1952 წლის 27 მარტის დადგენილებაც). ორივე შესულია 2002 წელს მოსკოვში ერთობ შეზღუდული ტირაჟით გამოცემულ კრებულში „სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურო და სსრკ მინისტრთა საბჭო. 1945-1953“.

ამ დადგენილებიდან თვალნათლივ გამოსჭვივის ვარაუდი:

მ. ბარამიას მეგრელთა ანტიპარტიული ჯგუფი იოლად (ანუ უდავოდ) შესაძლებელია იყოს ანტისაბჭოთა, მტრული, ძირგამომთხრელი ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთის ემიგრაციის ცენტრსა და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ევგენი გეგეჭკორთან (წარმოშობით მეგრელთან) და მიზნად ისახავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით.

ძალიან ჩქარა „მ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფი“ „მეგრელ ნაციონალისტთა ანტიპარტიულ, მოღალატურ ორგანიზაციად“ იქცა. ასეთი ფორმულირება პირველად პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა აკაკი მგელაძემ იხმარა საქ. კპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 11-12 ნოემბრის პლენუმზე უმკაცრესი ბრალდებებით სავსე გამოსვლისას და უმალ დამკვიდრდა.

ახლა იმაზეც, თუ როგორ დაწყვილდა „მექრთამეობა“ და „ანტიპარტიულობა“, მით უფრო, რომ სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის ნოემბრის დადგენილებაში „მ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის“ წმინდა ანტიპარტიულ საქმიანობაზე არაფერია ნათქვამი.

ამის გასაღებად ი. სტალინის ცნობილი გამონათქვამი გამოდგება:

„ქურდი, სახალხო დოვლათის დამტაცებელი და სახალხო მეურნეობის ინტერესთა ძირის გამომთხრელი, იგივე ჯაშუში და გამცემია, თუ მეტი არა“.

ბელადის ამ აზრს შემოქმედებითად ავითარებდნენ ქართველი კომუნისტები: „რა არის, ბოლოს და ბოლოს, გაფლანგვა და დატაცება? ერთ-ერთი მეთოდი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისა, მისი ეკონომიკური ძლიერების ძირის გამოთხრა“ (ვალერიან ბაქრაძე).

დაბოლოს, რას წარმოადგენდა ეს ჯგუფი?



ალექსანდრა იოსავა, მიხა ბარამიას მეუღლე

**„რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჯგუფი, რომელიც იკრიბებოდა და გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. არავინ ამბობს, რომ ჯგუფი სწორედ ასეთი უნდა იყოს. შეიძლება ჯგუფი არცკი ჩამოყალიბებულა, მაგრამ არსებითად იგი შეიძლება არსებობდეს და მოქმედებდეს“** (კანდიდ ჩარკვიანი).

ცოტა არ იყოს ბუნდოვანი და არადამაჯერებელი განმარტებაა, მაგრამ საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი იმდენად დაბნეული იყო ამ მოულოდნელი, თავზე ზვავივით დამტყდარი დოკუმენტით, რომელიც მისთვის არც საკავშირო ცეკას და, მით უფრო, არც ბელადს წინასწარ არ გაუცნიათ, არაფერს შეკითხვიან, რომ ამ დადგენილების განხილვისადმი მიძღვნილ 1951 წ. 11-12 ნოემბრის პლენუმის მთელი მუშაობის მან-



მიხეილ ბარამია ოჯახთან ერთად

საქართველოს რესპუბლიკა




მარცხნიდან: ვასო გოგუა, მიხა ბარამია, ზაქარია ჩხუბიანიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი

ძილზე ვერ მოახერხა „რკინის ხაზის“ გამოკვეთა, ის კი არა, როცა პლენუმის დასასრულს ჰკითხეს, ადგილებზე რომ დავბრუნდებით, რაიკომის მდივნებს, ბიუროს წევრებს რა ვუთხრათ პლენუმზე განხილული საკითხების შესახებო, ასეთი დირექტივა მისცა,: რაიკომის ბიუროს წევრებს ნუ ეტყვით, სანამ მითითებას არ მიიღებთ. ეს დახურული პლენუმი იყო, რაიკომის მდივნები, რომლებიც პლენუმის წევრები არ არიან, არ მოგვიწვევია იმიტომ, რომ დადგენილებას აწერია – ცეკას წევრებისთვისო. რაც შეეხება ორგანიზაციულ საკითხებს-მოხსნას, გარიცხვას, ეს უთხარით. დანარჩენებზე მითითებებს მიიღებთ ხვალ ან ზეგ. ვფიქრობ, იმ დადგენილებას, რომელიც აქ მივიღეთ, დახურულ პარტიულ კრებებს გავაცნობთ, მაგრამ შევუთანხმებთ მოსკოვს, რათა წინ გადარბენა არ გამოგვივიდეს და რაიმე შეცდომა არ დავუშვათო.

არ შეიძლება კ. ჩარკვიანს არ განეჭვრიტა, რომ 9 ნოემბრის დადგენილება ფითილმოკიდებული ნაღმი იყო, რომელსაც გარკვეული მიზანი და დანიშნულება ჰქონდა, ოღონდ ჯერ ბურუსით მოსილი, ჯერ ამოუხსნელი. მაგრამ მაინც იკვეთებოდა, რომ იმპერიის სათავეში მდგომი ორი ქართველი დაფაზე დაუხედავად თამაშობდა საჭადრაკო პარტიას, სადაც პაიკებიც, მხედრებიც, კუებიც და ეტლებიც კონკრეტული ადამიანები იყვნენ, რომლებიც მოწინააღმდეგის მეფის დაშამათებას უნდა შეწირვოდნენ.

9 ნოემბრის დადგენილება დიახაც მრავალ კითხვასა და ფიქრს აღძრავს, მაგრამ სანამ სხვაზე ვიტყოდეთ, მთავარ კითხვას გავცეთ პასუხი: რატომ იშვა ეს დოკუმენტი, რატომ, საიდან ამოტივტივდა „ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფი“, „მეგრული ნაციონალიზმი“ დ. შ.

უდავოა, რომ იგი ი. სტალინის ხელდასხმით შეიქმნა.

მაინც რა მოხდა, რამ უბიძგა საამისოდ ბელადს, რომელსაც, როგორც ამბობენ, მიმწუხრს ქართველობა მოეძალა, ყოველ შემთხვევაში, გაახშირა სიყრმის მეგობრებისა თუ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების თავისთან მიწვევა და ნოსტალგიური საუბრები?.. რამ აიძულა იგი, გაეწირა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, საქართველოს ერთერთი კუთხე, მისთვის დაესვა იმდროინდელი საზომით ლამის ყველაზე მძიმე და საშინელი დამღა, რომელსაც თავისთავად უნდა მოჰყოლოდა ამ კუთხის შვილთა რეპრესიები და, საბოლოო ჯამში, მთელი საქართველოს აწიოკება, რაც მთავარია, მძლავრი დარტყმა საერთო ქართულ ცხოვრებაზე? ყველა-ყველა და მას ხომ, როგორც ქართველ კაცს, სხვაზე უკეთ მოეხსენებოდა ამ წამოწყების უაზრობა და სივერაგე. მას ხომ უნდა ხსომებოდა, რომ ერთიანი საქართველოს საზიანო პროვოკაციული ცდები სამეგრელოს გასაუცხოებლად, მოსაკვეთად, ცარიზმის დროსაც იყო, მაგრამ მარცხით დამთავრდა, „მეგრული ნაციონალიზმი“ და „სეპარატიზმი“ თითიდან იყო გამოწოვილი საქართველოს მტრების მიერ?

აქ, ალბათ, იმაზე უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. შაბლონური ფორმულით-“მეგრულ ნაციონალისტურ ანტიპარტიულ ჯგუფზე“ დარტყმა Nმეგრელზე ლავრენტი ბერიაზე დარტყმა იყო.

ამაზე საგანგებოდ ღირს შეჩერება.

ზოგი ავტორი (მაგალითად, აშშ პრინსტონის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი რობერტ თაკერი წიგნში „სტალინი. გზა თავისუფლებისკენ,1879-1929. ისტორია და პიროვნება“. მოსკ. 1990) წერს, სტალინს გარკვეული „არასრულფასოვნების კომპლექსი“ ჰქონდა იმის გამო, რომ რუსი არ იყო და ყველანაირად ცდილობდა თავის თავში ქართველობის ამოძირკვას, ამიტომ ულმობლად ებრძოდა ყოველგვარ „ნაციონალიზმს“, განსაკუთრებით – საქართველოშიო.

თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის დ. შეპილოვის მოწმობით (მოგონებანი, „ვოპროსი ისტორიი“, 1998წ. N3-4), სტალინს უყვარდა თქმა, „ჩვენ **ვებრძოდით ყოველგვარ ნაციონალიზმს, უკრაინულს, ყაზახურს, ებრაულს, მაგრამ არასდროს ხელი არ გვიხლია ქართველი ნაციონალისტებისთვის“**. ამას მუქარის ტონით დაუმატებდა ხოლმე, „მაგრამ ისინი ვერ დაგვიძვრებიან, მათი რიგიც მოვა“. „ქართველ ნაციონალისტებზე“ შეტევა სტალინის ძველისძველი ჩანაფიქრი იყოო, დაასკვნის შეპილოვი.



ქართველი დეპუტატები სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. მარცხნივ – კონსტანტინე ჭიჭინაძე, მესამე – ვასო სიხარულიძე, მეორე რიგში – გრიგოლ კოკაია, მესამე რიგში – სიმონ ჩიქოვანი.

აკაკი მგელაძე თავის მემუარებში გვაცნობს ი. სტლინის სიტყვებს: **„სკკპ ცეკას აქვს სიგნალები, რომ უმსგავსობანი სხვა რესპუბლიკებშიც ხდება, მაგრამ საქართველოში მან წარმოუდგენელი მასშტაბები მიიღო... ამიტომ წესრიგის დამყარებას საქართველოდან დავიწყებთ... ანტიპარტიული ჯგუფის წევრები შეფობენ თავიანთი კუთხის წარმომადგენლებს. ასეთი ნათლიმამობა განსაკუთრებით საშიშია საქართველოსთვის და შეიძლება შორს მიმავალი შედეგები მოჰყვეს“.**

„სწორედ საქართველოში მარადჟამს ეძებდა იგი ბოლომდე ამოუძირკვავი ნაციონალიზმის ნარჩენებს,“ – აღნიშნავს ცნობილი ემიგრანტი, პოლიტოლოგი აბდურახმან ავტორხანოვი წიგნში „სტალინის სიკვდილის საიდუმლო“.

ხოლო თუ რატომ არის „განსაკუთრებით საშიში საქართველოსთვის“ და რატომ შეიძლება „შორს მიმავალი შედეგები მოჰყვეს“ მაინცდამაინც საქართველოში, ამაზე აკაკი მგელაძეს სტალინის მოსაზრება აქვს გადმოცემული ლ. ბერიას სახელზე 1953წ. 3 აპრილს დაწერილ ახსნა-განმარტებაში: „მე ვკითხე ამხ. სტალინს, განა შეიძლება არსებობდეს მეგრული ნაციონალისტური ჯგუფი, მეგრელები ხომ დამოუკიდებელი ერი არ არის, იგივე ქართველები არიან, მართალია ენაში სხვაობაა, მაგრამ მეგრული ერთ-ერთი ქართველური ენაა და ეროვნულ საკითხებზე თქვენს შრომებში მეგრელები არ ფიგურირებენ, როგორც დამოუკიდებელი ერი-მეთქი? ამის პასუხად ამხ. სტალინმა მითხრა, რომ არის მეგრელთა ნაწილი, რომლებიც თავს ქართველებად არ მიიჩნევენ. ჯერ კიდევ წარსულში ისინი მიისწრაფოდნენ ცალკე დაჯგუფებისაკენ, ავტონომიას მოითხოვდნენ. მან გაიხსენა ისაკ ჟვანია და მისი თანამოაზრენი. მათ ძველი დროიდან ახასიათებთ სეპარატიზმის ტენდენცია და სამეგრელოს რაიონების ასეთი პროვინციული თავისებურება მხედველობაშია მისაღებიო“.

ამ აზრს ი. სტალინი კიდევ უფრო განავრცობს, როცა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად ხელდასხმულ აკაკი მგელაძეს მოძღვრავს შინ უკვე პირველ კაცად გამომგზავრების წინ: **„საჭიროა ბოლო მოვუღოთ პროვინციელ „ბელადებს“.** ქართულ პროვინციებს შორის შინაომები ყოველთვის დიდი უბედურება იყო ქვეყნისთვის. თავის დროზე ამით სარგებლობდნენ ირანის შაჰიც და თურქეთის სულთანიც. საქართველოს ტრაგედიას რომ ჩავუღრმავდეთ, შეიძლება უშეცდომოდ დავამტკიცოთ, რომ არც შაჰებსა და სულთნებს, არც თემურ ლენგს არ მიუყენებიათ მისთვის ისეთი ზიანი, როგორიც შინაომებმა მიაყენა. რა თქმა უნდა, ახლა ასეთი საფრთხე აღარ არის, მაგრამ არის სხვა საშიშროება – პროვინციული „ბელადიზმი“ წარმოშობს კინკლაობას, ინტრიგებს. თითოეული თავის მხარეს ქაჩავს, ცდილობს, კადრები „თავისი პროვინციიდან“ წამოსწიოს, თავისი კუთხის ხალხს უკეთესი პირობები შეუქმნას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა აჭარასა და სამეგრელოში. თუ „თავის პროვინციებზე“ შეფობა არ აღიკვეთა, ეს იქამდე მიგვიყვანს, რომ საქართველოს კომპარტიის და მთავრობის როლი რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ნულზე დავა. დაამყარეთ წესრიგი, ანგარიში არ გაუწიოთ არავის და არაფერს“.

ნ. ხრუშჩოვი („დრო, ადამიანები, ხელისუფლება“, მოსკ. 1999წ.) წერს, „სტალინი მკვეთრად გამოყოფდა ერთმანეთისგან დასავლელ და აღმოსავლელ ქართველებს, ქართლელებს; ამბობდა, მეგრელები „ნამდვილი ქართველები არ არიანო“.

ღმერთმა იცის, რამდენად მართალია ხრუშჩოვის ეს მოგონება, მაგრამ ის, რომ „სწორედ საქართველოში ეძებდა იგი მარადჟამს ბოლომდე ამოუძირკვავი ნაციონალიზმის ნარჩენებს“, ფაქტია. რათა მკითხველისთვის საცნაური გახდეს, თუ რას ეფუძნებოდა სტალინის ეს პირქუში განწყობა, ცოტა ვრცელი გადახვევა უნდა გავაკეთო.

## აშორდია, მაფალუ, ჟვანია

**მეცხრამეტე საუკუნე დიდი ნიშანსვეტი იყო საქართველოს ისტორიის ცარგვალზე.**

**ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, რასაც ასეთი თავგანწირვით, ჭაპანწყვეტითა და სისხლით ინარჩუნებდა ათასწლეულების მანძილზე, იქცა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარედ, უსახელო და უსახურ კოლონიად. და ამავდროულად, იმ კოლონიის სამოსელში... გაერთიანდა და გამთლიანდა, რაც მანამდე ვერ შეძლო ბრძოლითა და კირთებით.**

მაგრამ როგორც კი საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები გაუქმდა და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი ერთ სხეულად შეიკრა, ორთავიანმა არწივმა იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და მისი ხელოვნურად დაქუცმაცება გადაწყვიტა. ამ მისიით იერიში ერის მთლიანობის ერთ-ერთ ციხე-ბურჯზე – ენაზე მიიტანეს.



ლავრენტი ბერია 1920-იანი წლები

1881 წლის 1 მარტს ნაროდნიკებმა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე მოკლეს. ახალი იმპერატორის ალექსანდრე მესამის ტახტზე ასვლისთანავე ქვეყანაში მკაცრი პოლიტიკური რეაქციის ხანა დამყარდა. ცარიზმმა მიზნად ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მეობის წაშლა დაისახა. ხმარებიდან ამოიღეს პოლიტიკური ცნება „საქართველო“. თბილისის და ქუთაისის გუბერნიები უშუალოდ საიმპერიო ცენტრს დაუქვემდებარეს.

კავკასიის რეაქციონერმა მმართველებმა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ენებსა და კულტურას შეუტიეს. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ სკოლებს დაუგზავნა ცირკულარი, რომელიც ქართული ენის ნაცვლად რუსული ენის სწავლას აწესებდა. მშობლიური ენა ცხადდებოდა არასავალდებულოდ და მას მხოლოდ დაბალ კლასებში ეთმობოდა საათების მცირე რაოდენობა, ისიც გაკვეთილების ბოლოს. იგივე იანოვსკიმ 1885 წლის ცირკულარით ქართული ენა საერთოდ აკრძალა სკოლებში და იგი „საოჯახო ზრუნვის“ საგნად გამოაცხადა.

ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას ცნობით, სამეგრელოს სამოქალაქო, ანუ „ნორმალურ“ სკოლებში შეგირდები ქართულს, როგორც ისინი ამბობდნენ, „ჩქინობურას“, ე. ი. „ჩვენებურ“ წერა-კითხვას შინაურულად, მალვით სწავლობდნენ.

იყო ვერაგული განზრახვა, რომ სამეგრელოს, აჭარის, სვანეთის სკოლებში სწავლა შემოეღოთ მეგრულ, თურქულ და სვანურ ენებზე... მეგრელები, აჭარლები და სვანები ცალკე, არაქართულ ეროვნებებს წარმოადგენენო.

კოლონიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებაში ცარიზმს მხარში ედგა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია. განიდევნა ქართული წირვა-ლოცვა, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-მეგრელთა ერთობას, მეგრელთა შორის ხელოვნურად, განგებ ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობას.

მაგრამ მარტო იანოვსკები და ძმანი მათნი როდი იქმდნენ ამ ბოროტ საქმეს. არაერთი გადაჯიშებული ჩვენი თანამემამულეც ედგა მათ მხარში. მათზე წერდა დიდი იაკობ გოგებაშვილი გამწარებით: „ჩვენში კი გამოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახაკნი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოთქვეს, რომ სამეგრელოს და სვანეთის სკოლებიდან დედაენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან იქ ხალხი ადგილობრივს კილოკავს ხმარობსო. სახსარიც მალე იპოვეს: სამეგრელოსა და სვანეთის მოწყვეტა-მოშორება საერთო ნიადაგიდან, საერთო სამშობლოდან; „მეგრელისთვის იმის თქმა, რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ მათ არა აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შეიქმნას, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წავართვათ მათ მთელი მათი სახელოვანი წარსული, მთელი ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი გონებრივ ღატაკებად და გვერდით ამოვუყენოთ ისეთ ბარბაროსულ ტომებს, რომელთაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ“.

(გაგრძელება იქნება)



ალისა კოონენი სალომეას როლში

# ჩვენი სინამდვილე სატანიზმია!!!

## სალომე ზურაბიშვილი საკუთარი ერის სისხლით ცდილობს, დაიბრუნოს პრეზიდენტობა!



სალომე ზურაბიშვილი — მენშევიკის შვილი და მაკრონის თუთიყუში

**„ევროპულმა მხატვრულმა ლიტერატურამ შექმნა სამი დიდი სიმბოლური ფიგურა: დონ კიხოტი, ჰამლეტი და ფაუსტი“ — წერს XX საუკუნის დიდი გერმანელი მოაზროვნე კარლ შმიტი.**

სხვა ერების მსგავსად, ასევე საქართველოზეც შეიძლება აღინიშნოს ამ სიმბოლური ფიგურების როგორც კარგი, ასევე უარყოფითი გავლენა. ეს გავლენები ერის ცნობიერებას ისტორიული სიღრმიდან გადმოეცემა. ამ გავლენების თემას ფართოდ ვეხები, სხვა საკითხებთან ერთად, ჩემს ექვსასგვერდიან წიგნში **„ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“** (თბ., 2006) და აქ მასზე აღარ გავვრცელდები. ამჯერად მიხდება საუბარი მხოლოდ უარყოფით გავლენაზე, რადგან ნებისმიერი ქართველი დღეს უშუალოდ ხედავს და გრძნობს, რომ „რაღაც დამპალია დანიის სახელმწიფოში“ **(ჰამლეტი, I, 4).**

მართალია, ეს სიდამპლე დღეს არ გაჩენილა, მაგრამ ის განსაკუთრებით გამოვლინდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921, 1991-იდან დღემდე). გინახავთ სხვაგან ამ რაოდენობის გაქცეული პრეზიდენტები, ერის მიმტოვებლები განსაცდელის ჟამს, რამდენიც საქართველოში?! ან პირდაპირ დამნაშავეები, ხალხის მწამებლები, სახალხო ქონების დამტაცებლები?!

ასეთ შეფასებას ვერ გაექცევა საქართველოს ბოლო პრეზიდენტიც, **სალომე ზურაბიშვილი, გაქცეული მენშევიკის შვილი და მაკრონის თუთიყუში, მეგერა, რომელიც საკუთარი ერის სისხლით ცდილობს, დაიბრუნოს პრეზიდენტობა.**

XIX საუკუნის გერმანელი მწერლები გერმანელ ერს (ნაციას) ჰამლეტს ადარებდნენ მისი შინაგანი გახლეჩილობის, ყოყმანისა და მეოცნებობის გამო.

იგივე, მეტი სიმკვეთრით, შეიძლება ითქვას ქართველ ხალხზეც, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, ქუჩიდან ალაგმოს „ევროპა გვინდა-ს“ ძახილით მოხეტიალე ბრბო, იმ ევროპის, სადაც მხოლოდ „ქრისტიანული ოაზისებია“ **(სერგეი ავერინცევი)** დარჩენილი. ამიტომ პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ცნობიერებას არა ხსენებული სამი სიმბოლური ფიგურა განსაზღვრავს, არამედ რაბლეს სიცილი. ეს კი სატანური სიცილია.

„ეს, ვიტყოდით, სრულიად სატანური სიცილია. რაბლეს რეალიზმიც, ამ აზრით, სატანიზმია“ **(ალექსეი ლოსევი,** „აღორძინების ესთეტიკა“, მოსკოვი, 1998, გვ. 610).

გამოდის, რომ ჩვენი რეალობაც, ჩვენი სინამდვილეც სატანიზმია. როგორ?, როგორ? ხომ არ მომესმა და ჩვენს განათლებულ საუკუნეში ვინმეს კიდევ სჯერა ეშმაკის არსებობის?! სჯერა. და ამაში გვარწმუნებს დიდი რუსი ფილოსოფოსი ალექსეი ლოსევი:

**„როგორ არ აფთრდება ნიჰილისტური და გადაგვარებული განმანათლებლობა, ეშმაკი მაინც — სრულიად რეალური ძალაა; და ვერ ამჩნევენ ეშმაკს მისი უსასრულო ბოროტების ძალით მხოლოდ ისინი, ვინც თავად იმყოფებიან მის მსახურებაში და დაბრმავებულნი არიან მისი ჰიპნოზით. არ უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობენ მხოლოდ ის ბოროტი ძალები, რომლებიც ჩვენთვის ნაცნობია კლასიკური რელიგიებიდან. ამჟამინდელმა ეშმაკმა მიიღო ფორმები ფილოსოფიური, მხატვრული, მეცნიერული და ა. შ. თუმცა, უფრო ხშირად ეს ეშმაკი დაწვრილმანდა, როგორც ყველაფერი ამქვეყნად. თუკი ავიღებთ ინდოეთის ეშმაკეულობას, სავსებით შეიძლება ითქვას, რომ ბჰაგავატ გიტას ღრმა მელანქოლიასთან შედარებით ბოდლერის უარყოფა და პესიმიზმი გვეჩვენება პანსიონის გოგონას კაპრიზებად ზრდასრული მამაკაცის ცრემლებთან შედარებით“ (ა. ლოსევი, „მითის დიალექტიკა“).**

**მაშინ, გამოდის, რომ სრულიად სხვაგვარად უნდა გავიაზროთ ბრბოს მოთხოვნები, რომელსაც გამუდმებით პირზე აკერია „ადამიანის უფლებები“. აქაც ამის ახსნას იგივე ა. ლოსევი გვთავაზობს და იქვე იწყებს ამ „უფლებების“ განმარტებას:**

„როგორ შეიძლება ყველაზე ადვილად პიროვნების დარწმუნება იმაში, რომ ღმერთი არ არსებობს? ითქვას ყველაფერი პირდაპირ, უცებ — ეს ნიშნავს მთელი ათეიზმის დისკრედიტირებას.

რასაკვირველია, ადრე ან გვიან, ადამიანი მიეჩვევა უღმერთობას; ადრე ან გვიან ის იმკრეხელებს. მაგრამ არა უცებ, ამხანაგებო, არა უცებ. სულ დასაწყისში ღმერთს თვით თითსაც არ დავაკარებთ. ღმერთი ხომ, რასაკვირველია, არის. მომიტევეთ! როგორ შეიძლება აბსოლუტური არსების გარეშე! თვით ეკლესიაში, კი ბატონო, იარეთ. მაგრამ ვითხოვთ მხოლოდ ერთ უმნიშვნელო რამეს: აღიარეთ, რომ თქვენ გაგაჩნიათ უფლება არსებობაზე. თქვენ იკითხავთ: როგორ, და ეს არის ყველაფერი? ეს არის აღორძინება? განა შუა საუკუნეების ქრისტიანობა არ აღიარებს ადამიანურ თავისუფლებას?, განა ქრისტემ არ გაათავისუფლა სამყარო? — აბა, კარგი და მშვენიერი. თქვენ თვით იმასაც ამბობთ, რომ ადამიანის არსებობის უფლების აღიარებასა და ქრისტიანობას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. მაშასადამე, თქვენ დაწყნარებით შეგიძლიათ ითხოვოთ უფლება თქვენი არსებობისათვის და თავი მოიაზროთ ქრისტიანად. სწორედ ეს არის ნამდვილი აღორძინება. — რაღაშია საქმე? — ისევ იკითხავთ. მაშასადამე, თქვენებურად ქრისტიანს არა აქვს სიცოცხლისა და არსებობის უფლება? — აი, როგორც იქნა, — გპასუხობთ, — თქვენ გაიგეთ, რაშიც არის საქმე. **ქრისტიანი (განსაკუთრებით შუა საუკუნეების, განსაკუთრებით ბიზანტიურიც) თავს იაზრებს ისე, რომ მას არავითარი უფლება არ გააჩნია არსებობაზე. ქრისტიანი თავს იაზრებს მტვრად, მიწად, აბსოლუტურ არარაობად ღვთაებრივი სრულყოფილებების წინაშე. მხოლოდ ენით უთქმელმა ღვთის სიყვარულმა მოუწოდა ამ არარაობას ყოფიერებისკენ, უბოძა მას ყოფიერება, შთაბერა ცოცხალი სული. რა უფლებები, რის უფლებები! ყველაფერი ქრება ღვთაებრივი ნათელის უფსკრულის წინაშე, და არის მხოლოდ ერთი შესაძლებელი, აუცილებელი და საკმარისი ყოფიერება— თავად ღმერთი.** ღვთის გარდა და გარეშე ღვთისა არაფერია და არც შეიძლება იყოს რამე. ყველაფერი, რაც რეალურად არის მის გარდა, არის მხოლოდ მისი ქმნილება, მხოლოდ მისი პიროვნული და თავისუფალი ნების, მისი სიყვარულის ნაწარმოები. სამყაროს და ადამიანს სრულიად არ გააჩნიათ არავითარი აუცილებლობა. სამყარო და ადამიანი, მთელი მათი ძალითა და მშვენიერებით, მთელი მათი ბოღმითა და არარაობით, სრულიად ვერაფერს მატებენ ღმერთს, და ვერც აკლებენ. სამყაროს და ადამიანს შეეძლოთ არ არსებულიყვნენ, და ეს სრულიად არაფერს შეცვლიდა ჭეშმარიტ ყოფიერებაში. ხოლო აი, აღორძინება ფიქრობს, რომ ადამიანს გააჩნია უფლება არსებობაზე და სწორედ ამაშია მთელი საიდუმლოება. ღმერთიც რჩება ხელუხლებელი, რელიგიაც რჩება მთლიანობაში და სამყაროც არსებობს, როგორც არსებობდა აქამდე, მაგრამ... მეც გამაჩნია უფლება არსებობაზე. და ეს უწყინარი „ც“ არის სატანის ვეებერთელა გამარჯვება ღმერთზე“ (დასახ. ნაშრომი, თბ., 2017).

აქედან გასაგები ხდება კარლ შმიტის ირონია ადამიანის უფლებებზე: „უფლება პოლიტიკურ შეცდომაზე, უფლება რელიგიურ შეცდომაზე“, — წერს იგი თავის დღიურში (Glossarium, Berlin 1991).

დავამატებდი:

### „სილაღე ესე ამპარტავნებისა არს საცთური ეშმაკისა“

**(ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება).**

* * *

**მაგრამ დემონსტრაციები გრძელდება. სულ სხვა რამ გახლავთ, მაგალითად, ჭიათურის ულუკმაპუროდ დარჩენილი მაღაროელების სამართლიანი გამოსვლები, და სულ სხვა — ეშმაკისგან ინსპირირებული, ბნელი ბრბოს დემონსტრაცია. როგორ უნდა იმოქმედოს ამ დროს სახელმწიფომ?**

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდე, მსურს, მკითხველს გავუზიარო ერთი დაკვირვება დემონსტრანტებზე, რომელიც ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს გუსტავ ლე ბონის „ბრბოს ფსიქოლოგიას“ (რაზედაც, სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილმა შექმნა თავისი შესანიშნავი მოთხრობა „ეშმაკის ქვა“, გაამდიდრა იგი მორალის თემითა და „სიღრმისეული ფსიქოლოგიით“). არა, ამ შემთხვევაში ჩემი დაკვირ-



აი, ამიტომ მეცოდება ეს ბრბო როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რადგან იგი ეშმაკის მართულ იარაღად იქცა.



იოან ჰაინრიხ ფიუსლი „ლედი მაკბეტი“

ვება ეხება, თუ შეიძლება, ასე ითქვას, დემონსტრანტთა ესთეტიკურ მხარეს, დემონსტრანტ ქალებს, რომლებიც ხშირად უფრო აქტიურები არიან, ვიდრე მამაკაცები. ამ ქართველ ქალებში, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოერევა ისეთი მშვენება, როგორზედაც ამბობს ეზეკიელ წინასწარმეტყველი: „გავარდა შენი სილამაზის სახელი ხალხებში, რადგან სრულქმნილი ჩანდი ჩემი დიდების გამო, რომლითაც შეგმოსე, ამბობს უფალი ღმერთი“ (16,14). მაგრამ, ქალების მშვენიერებას ერთი იდუმალი თვისება ახლავს: როგორც კი მისთვის უცხო სტიქიაში გაეხვევა ან ზნეობრივ დეგრადაციას განიცდის, მის ლამაზ სახეზე ეს მანკი თანდათანობით იწყებს ასახვას და თუ სილამაზეს მას ბოლომდე არ აკარგვინებს, ყოველ შემთხვევაში, მას ბოროტების ნიშნებს შესძენს. ასე იჭრება ეთიკურის ცნება ესთეტიკურში. აქ, პირველ ყოვლისა, მახსენდება ბიბლიური ისტორია მშვენიერ დალილაზე, რომელმაც მასში შეყვარებული სამსონი გამოტეხა, თუ რაში მდგომარეობდა მისი ძალის საიდუმლო და ამის შემდეგ იგი ფილისტიმელებს შეაპყრობინა (მსაჯულნი, 16, 4-21). ამ თემაზე სენ-სანსმა შექმნა თავისი ჯადოსნური ოპერა „სამსონი და დალილა“, საიდანაც სამსონის მომხიბლავი დალილას არია, შეუძლებელია, დაავიწყდეს მუსიკის მოყვარულს. ამ დროს, სენ-სანის ოპერაში, შეპყრობილ სამსონს დალილა დასცინის. განა წარმოსადგენია, რომ დამცინავ სახეს ბოროტების ნიშნებიც არ გააჩნდეს?!

**ან, ავიღოთ ლედი მაკბეტის სახე შექსპირის ტრაგედიიდან. დანაშაულის სიმძიმეს ვერ უძლებს ლედი მაკბეტის ფსიქიკა და ყოველ ღამეს გონებაშეშლილი, სანთლით ხელში, ოთახებში დაეხეტება და შიშის ზარს სცემს მოახლეებს, რომლებსაც თვითონ ვერ ამჩნევს. სწორედ ასეთად დახატა ლედი მაკბეტი იოან ჰაინრიხ ფიუსლიმ (1741-1825): მშვენიერი ქალი, გაწეწილი ოქროსფერი თმებით, სანდომიანი სხეულით, მაგრამ სახის საშინელი გამომეტყველებით, რომელსაც ეშმაკები დაუფლებიან. მუსიკაში შექსპირის ტრაგედია „მაკბეტი“ გენიალურად გამოხატა ვერდიმ, ამავე სახელწოდების ოპერით.**

შეუძლებელია, აქვე არ გაგახსენდეს სახარებისეული ჰეროდიადას უმშვენიერესი ასული, რომელმაც ცეკვით მოხიბლა მეფე ჰეროდე და სანაცვლოდ მოსთხოვა იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი (მარკოზი, 6, 17-28). როგორც ცნობილია, ამ თემაზე ოსკარ უაილდმა ფრანგულ ენაზე დაწერა დრამა „სალომეა“, სადაც სალომეა, იგივე ჰეროდიადას ასული, ვნებით აღძრული, ნათლისმცემლის მოკვეთილ თავს ტუჩებში კოცნის. ვისაც რუსულ ენაზე გაგაჩნიათ ამ დრამის თარგმანი (მოსკოვი, 1960), იქ იხილავთ სალომეას როლის შემსრულებლის, ა. კოონენის ფოტოს (1917 წლის დადგმა, მოსკოვის კამერული თეატრი). შეუძლებელია უფრო მეტი ექსპრესიულობით სალომეას მშვენიერი და იმავდროულად საზარელი სახის გამოხატვა. ოსკარ უაილდის დრამას უძღვნა თავისი გენიალური ოპერა რიხარდ შტრაუსმა.

ახლა, როგორც ა. ლოსევი წერს, „ამქვეყნად ყველაფერი დაწვრილმანდა, თვით ეშმაკიც“ და ვიტყვი, რომ მშვენიერის საქმე არ არის ბოქსიორობა, როგორც დემონსტრანტობა და, სრულიად გამართლებულად მიმაჩნია, როდესაც მასთან მიდის მათრახივით მოქნეული ჩოხიანი, ხელს წაავლებს და სიტყვებით – „რა გინდა შენ აქ?!“, გამოათრევს მათი რიგებიდან. მახინჯებს რა ვუყოთო, – იკითხავს მკითხველი. მახინჯები, – ვუპასუხებ, დავუტოვოთ დემონსტრაციების ბელადებს.

**ამასთან, ყველაფრის მიუხედავად, ამ დემონსტრანტთა შემხედვარეს, როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოში, სიბრალული მეუფლება. თუ რატომ, ამაზე ახლავე მოგახსენებთ. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საზოგადოების ქრისტიანულ, განათლებულ წრეებში, ერიდებოდნენ ისეთი წიგნების კითხვას, რომლებიც აშკარად არ იყვნენ სასულიერო შინაარსის, ესე იგი, ფაქტობრივად მთელ მხატვრულ ლიტერატურას, რადგან, მოგეხსენებათ, მაშინ არ იყო კინოფილმები, ვიდეო და ა. შ. ამაზე მეტყველებს მღვდელმთავარი თეოფანე დაყუდებულის მოღვაწეობა (1815-1894), რომელსაც დიდი მიმოწერა ჰქონდა და რომელსაც ხშირად სთხოვდნენ რჩევას სხვადასხვა საკითხზე. ასეთი რჩევის შემცველია, მაგალითად, ესეც:**

„...მეკითხებით, შეიძლება თუ არა წიგნების კითხვა, გარდა სასულიეროსი? კბილებიდან გამოვცრი და ისე გეტყვით, ოდნავ გასაგონად: მგონი, შეიძლება, მხოლოდ ცოტა და არა არჩევის გარეშე. როგორც წესი, დაუკვირდით ხოლმე ერთ რამეს: მაშინ, როდესაც იმყოფებით კეთილ გუნებ-განწყობაზე და იწყებთ კითხვას წიგნებისას, ადამიანური სიბრძნის შემცველთ და თუკი ეს კეთილი გუნებ-განწყობა თანდათან დაგტოვებთ, მაშინ გადააგდეთ ეს წიგნი. „ეს არის საერთო კანონი თქვენთვის“ **(Св. Феофан Затворник, Советы православному христианину, М.: 1994, стр. 128).** თუმცა XX-XXI საუკუნეებში მღვდელმთავრებს უკვე აღარაფერს ეკითხებიან და აშკარად შეინიშნება ეშმაკის მომძლავრება. ამაზე მეტყველებს თუნდაც გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნისა და მოაზროვნის, ჰანს ზედლმაირის წიგნი „ხელოვნება და ჭეშმარიტება“ (**Hans Sedlmayr, „Kunst und Wahrheit – Zur Theorie und Methode der Kunstgeschichte”, Hamburg** 1958). ზედლმაირი კითხულობს: „არსებობს თუ არა ირონიულ-ნიჰილისტური გამოსახულების გვერდით საკუთრივ ეშმაკეული ხელოვნება და, მაშასადამე, ეშმაკეული გამოსახულებები? მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, ეშმაკეული სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით უნდა გვეწოდებინა ისეთი სახვითი ხელოვნებისათვის, რომელიც სურათში ამტკიცებს ონტოლოგიურად არაჭეშმარიტ (არაადეკვატურ) გამოსახულებებს ღვთისას, ანგელოზებისას, ადამიანებისას, სამყაროსას. ეს ნიშნავს, რომ ამგვარ ხელოვნებას დართული აქვს ისეთი მხატვრული თვისებები, რომლებიც მნახველს აიძულებენ, მიიღოს არაჭეშმარიტი გამოსახულება, შეუშვას იგი თავში (თვით სიტყვასიტყვით ჩართოს იგი თავის შემადგენლობაში) და მისცეს მას თავისი „**assent**” (თანხმობა), ამგვარ დეფინიციას შეეძლო შესაბამისობაში ყოფილიყო სიტყვა დიაბოლოს (ეშმაკეული) ორმაგ აზრთან. რადგან ყოფიერებასთან მიმართებაში ამგვარი გამოსახულება ობიექტურად წარმოადგენს ყოფიერების წესის დამახინჯებას, სხვა სიტყვებით, იგი არის სიცრუე, ანალოგიურად იმისა, რომ დიაბოლოს არის „კაცის მკვლელი დასაბამითგან“. ამგვარი დეფინიცია შესაძლოა, ერთი მხრივ, ყოფილიყო ძალზე ვიწრო, და მეორე მხრივ, ძალზე ფართო, რადგან ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეშმაკეული სულ სხვადასხვაგვარ გარსში ყველგან მოქმედებს. გარდა ამისა, არ შეიძლება ძალზე მკვეთრად დავაშოროთ ეშმაკეული გამოსახულება ირონიულს. ამ განსაზღვრებას ჩვენ ვღებულობთ მარტოდენ როგორც „ევრისტიკულ დეფინიციას“, რომელსაც უნარი შესწევს იქცეს ამოსავალ წერტილად“.

აი, ამიტომ მეცოდება ეს ბრბო როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რადგან იგი ეშმაკის მართულ იარაღად იქცა.

* * *

**დავუბრუნდეთ კითხვას და ვთქვათ: როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ ასეთ ვითარებაში?**

**ვფიქრობ, პასუხი არის პირდაპირი: სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს პოლიტიკური ნება და განახორციელოს იძულება. „ადამიანური ეგოიზმი შეუძლებელს ხდის საზოგადოების ყველა წევრის თანამშრომლობას ნებაყოფლობით საფუძველზე. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს იძულება“ – წერს ცნობილი ამერიკელი თეოლოგი რაინჰოლდ ნიბური თავის ნაშრომში „რატომ არ არის ქრისტიანული ეკლესია პაციფისტური“ (1940 წ.). იგი იქვე დასძენს, რომ ამ იძულებაში არის ბოროტების ელემენტი ანუ, ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით, ის ერთდროულად არის ცოდვის შედეგი და საშუალება მის წინააღმდეგ.**

**ამ წერილს ისევ კარლ შმიტის სიტყვებით დავასრულებ: „ვისაც ჩემი მოსპობა სურს, ის არ არის ჩემი მტერი, არამედ ჩემი სატანური მდევნელია. საკითხი, თუ როგორ უნდა მოვიქცე მის მიმართ, აღარ არის პოლიტიკური, არამედ მხოლოდ თეოლოგიურადაა პასუხგასაცემი. კონკრეტული სახის დიალექტიკური თეოლოგია აღმოცენდება, თუკი მომსპობი ამტკიცებს, რომ მას სხვა არაფერი სურს, თუ არა მომსპობის განადგურება“ (Glossarium, Berlin 1991:190).**



**ვიქტორ რცხილაძე**

# დიდი რუსთველოლოგის თხზულებათა წარდგენა

**25 მარტს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ორგანიზებით (პრეზიდენტი დავით შემოქმედელი) მწერალთა სასახლეში გაიმართა დიდი ქართველი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ეპოქალური წიგნების 5 ტომეულის წარდგინება. ეს წიგნებია: პირველი ტომი – „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, მეორე ტომი „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, მესამე ტომი – „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება, მეოთხე ტომი – „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებათმეტყველება. მეხუთე ტომი – „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება.**



ვიქტორ ნოზაძე 1919 წლის ბოლოს კი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 70 ახალგაზრდასთან ერთად უცხოეთში გააგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ის ჯერ ლონდონში სწავლობდა, შემდეგ – ბერლინში. 1929 წლიდან კი პარიზში დასახლდა. იქ ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ-მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალის „კავკასიონის“ გამოცემას, რომელსაც გარდაცვალებამდე რედაქტორობდა. ომის შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში, ავსტრიაში, ჩილეში, არგენტინაში, ბრაზილიასა და ესპანეთში. 1963 წლიდან კი ლევილში ძმასთან ერთად. დასაფლავებულია იქვე.



ვიქტორ ნოზაძის ჩვენ მიერ აღნიშნული თხზულებები ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახლდათ. ნოზაძეთა საგვარეულომ, „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოებამ“ (თავმჯდომარე გენერალ-მაიორი სიმონ ნოზაძე), განიზრახა ამ მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევათა ხელახლა გამოცემა. პირველი სამი ტომი მომზადდა გურამ შარაძის რედაქტორობით, მე-4 ტომი კი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ტყემალაძემ, ხოლო მე-5 ტომი ქალბატონმა ნესტან სულავამ. განზრახულია მე-6 ტომისა და როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ბატონი ვიქტორის დაუბეჭდავი ნაშრომებიც გამოცემა.

არ შეგვიძლია, მადლობა არ გამოვხატოთ „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოებისა“ და მისი თავმჯდომარის ბატონ სიმონ ნოზაძის მიმართ, ასე საგულდაგულოდ რომ პატრონობენ მათი სახელოვანი გვარის წარმომადგენლის ნაღვაწს.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, ქართული კულტურის დესპანმა, მწერალმა დავით შემოქმედელმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: ვიქტორ ნოზაძის საზოგადოების თავმჯდომარე სიმონ ნოზაძე, პროფესორი ნესტან სულავა, პროფესორი, რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გოგოლაშვილი, პროფესორი ლევან გიგინეიშვილი, პროფესორი მურმან თავდიშვილი, მწერალი ერეკლე საღლიანი, პროფესორი ლალი ურდულაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ეკატერინე გოგიაშვილი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.

დარბაზში მსხდომთ საჩუქრად გადაეცა ვიქტორ ნოზაძის მეხუთე ტომი – „ვეფხისტყაოსნის“ღმრთისმეტყველება.

გამომსვლელები ერთსულოვანი იყვნენ, რომ ფასდაუდებელია ამ დიდი მამულიშვილისა და დიდი მეცნიერის ღვაწლი „რუსთველოლოგიის“ განვითარებაში. მკვლევარმა მომავალ თაობებს საგანძურად დაუტოვა უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა და მეცნიერული ანალიზი.

ამ დღეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ საკადრი პატივი მიაგო ვიქტორ ნოზაძის, ამ დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ფასდაუდებელ ამაგს ქართული კულტურისადმი.

**იანელ კოჭლამაზაშვილი**

**რუსთაველის საზოგადოების პრესცენტრის ხელმძღვანელი**

# საცხოვრებელი ბინები კიდევ 721 დევნილ ოჯახს გადაეცა

**დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ეკონომიკის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო კიდევ 721 დევნილ ოჯახს საკუთრებაში გადასცემს საცხოვრებელ ბინებს და სამოსახლო მიწის ნაკვეთებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში, მათ შორის: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, მცხეთის, გორის, კასპის, ქარელის, ბორჯომის, წყალტუბოს, ხონის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, სენაკის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში,** – ინფორმაციას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

**„გადასაცემ ქონებაზე სააგენტოში შუამდგომლობა წარადგინა დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, შესაბამისად, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის, საქართველოს მთავრობამ, ეკონომიკის სამინისტროს ინიციირებით, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება, საცხოვრებელი ფართები საკუთრების უფლებით მათ ფაქტობრივ მფლობელებს დაუკანონდეთ. საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს დევნილი ოჯახების სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა.**



# „რბილი გზა“ საქართველოში

## 90 წლის წინათ გაკვალული...



მარცხნიდან პირველი: ანზორ ქიბროწაშვილი, მესამე – ანზორ კიკნაძე.

მომდევნო წელს ფიზკულტურის ინსტიტუტს თავად ჩაუტარებია უმაღლესი სასწავლებლის პირველობა, 1935 წელს ძიუდოში მოსკოვის პირველი ჩემპიონატი გაიმართა. 1936 წელს კი შეიქმნა თავისუფალი სტილით ჭიდაობის (ძიუდო) მოსკოვის სექცია. შეჯიბრების ოფიციალური წესების შენიშვნებში ოშჩეპკოვი წერდა: „თავისუფალი სტილით ჭიდაობა – ძიუ-დო – წარმოადგენს შედარებით ახალ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არცთუ ისე გავრცელებულ სპორტის სახეობას, ამიტომ ვითვალისწინებთ ამ ჭიდაობის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის მიზნით (არაფერს ვამბობთ მისი ილეთების გამოყენების მნიშვნელობაზე)". ოშჩეპკოვს მხედველობაში ჰქონდა ჭიდაობა სამბო...

1937 წელს მოსკოვისა და ლენინგრადის ძიუდოისტთა გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრას ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში მონაწილეობდა ქართველი სპორტსმენი **ლევან (ლელიკო) ნანეიშვილი.**

ამ მატჩის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის **1962 წლის 16 მაისის გაზეთი „ლელო“,** რომლის მე-4 გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიას („პირველი ქართველი ძიუ–დოისტი“) უცვლელად შემოგთავაზებთ:

„ჩემ წინ დევს სიძველისაგან გაყვითლებული აფიშა და მომცრო ზომის გაზეთი - „სპარტაკი“. ორივე დათარიღებულია ერთიდაიმავე წლით, თვითა და რიცხვით. აფიშა (რომელიც ლენინგრადის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტს ეკუთვნოდა) იუწყება, რომ 1937 წლის 24 დეკემბერს ს. მ. კიროვის სახელობის ტექსტილის (საფეიქრო – **ვ.დ.**) ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გაიმართება სამატჩო შეხვედრა ძიუ-დოში მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს შორის.

მოსკოვის ნაკრების ღირსებას ამ შეჯიბრებაში დაიცავენ წონითი კატეგორიების მიხედვით – საზონოვი, ვასიუკოვი, შინინი, ბუძინსკი, სიდოროვი, გლადკოვი, ხარლამპიევი და სიდორენკო. ლენინგრადელთა ე.ი. მასპინძელთა შორის არიან სილინი, გორბუნოვი, ივანოვი, ფედოროვი, ლავროვი, კონსტანტინოვი, პურზალი და ნანეიშვილი.

ბუნებრივია, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ უკანასკნელმა გვარმა. ვინ უნდა ყოფილიყო 25 წლის წინ ჩვენი თანამემამულე ძიუ-დოისტი? მაშინ ხომ ჩვენში არაფერი იცოდნენ

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №47



### კალათბურთელი ტატამიზე

**საბჭოთა კავშირში ძიუდოისტთა პირველი ამხანაგური შეხვედრა 1934 წელს გამართულა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ავიახიმის ფალავნებს შორის.**

ჭიდაობის ამ სახეობის შესახებ? ჩვენს ცნობისმოყვარეობას ლენინგრადის სპორტულმა გაზეთმა „სპარტაკმა“ გასცა პასუხი. აი, რას წერდა იგი: „მძიმე წონის მოჭიდავე ნანეიშვილი (მექანიკა-ტექნოლოგიის ინსტიტუტი) პირველად მონაწილეობს ასეთ დიდ შეჯიბრებაში. მაგრამ მას საკმაოდ კარგი ტექნიკა და გამოცდილება აქვს ქართულ ჭიდაობაში. ეს უკანასკნელი კი ძალზე წააგავს ძიუ-დოს“ (გალკოვსკი, ვასილიევი).

მალე ყველაფერი ნათელი გახდა. თბილისის მე-3 საქალაქო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ლელიკო ნანეიშვილი ზის ჩვენს რედაქციაში და გვესაუბრება 25 წლის წინ მომხდარი ამბების შესახებ.

„მოსკოვი-ლენინგრადის ძიუ-დოისტთა მატჩი პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო ჩვენს ქვეყანაში იაპონური ჭიდაობის ოსტატთა მონაწილეობით. მე მასში, თუ შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოვხვდი. იმ ხანებში ვსწავლობდი ლენინგრადის მექანიკა-ტექნოლოგიის ინსტიტუტში და ვთამაშობდი კალათბურთს „ბურევესტნიკის“ გუნდში.

ერთ დღეს ჩვენი გუნდი დროზე ადრე მივიდა სავარჯიშოდ დარბაზში, სადაც მეცადინეობდა ძიუ-დოს ახლად ჩამოყალიბებული წრე. მწვრთნელი სპორტსმენებს აჩვენებდა რომელიღაც ილეთს ფეხის გამოდებით, რომელიც ძალიან წააგავდა ქართულ შუაკაურს. არ მომეწონა მის მიერ შესრულებული ფანდი და მწვრთნელს ჩემი უკმაყოფილება ვაგრძნობინე (ეს ალბათ ახალგაზრდობით მომივიდა, თორემ მე, კალათბურთელს, ვინ მეკითხებოდა მოჭიდავეთა საქმეებში ჩარევას?).

მწვრთნელს ჩემს შენიშვნაზე გაეღიმა და მთხოვა ხალიჩაზე შემოსვლა. მე არ დავაყოვნე და მის წინ აღმოვჩნდი. შუახნის ტანმორჩილმა მამაკაცმა სწრაფად შემომხვია ფეხი, მაგრამ ადგილიდან ვერ დამძრა. მე იგი ჰაერში ავწიე და ერთხანს ასეთ მდგომარეობაში გავაჩერე. მომეცადინეები გაკვირვებული გვიყურებდნენ მეცა და მწვრთნელსაც.

მცირე ხნის შემდეგ როლები შევცვალეთ. ახლა მე შემოვავლე მას ფეხი მჭიდროდ და უმალ ხალიჩაზე დავაგდე. დამსწრეებმა ერთსულოვანი ტაში დამაყარეს. მე კი დინჯად წამოვდექი, წამოვაყენე ჩემი მეტოქეც და თანაგუნდელ კალათბურთელებს მივაშურე.

ასე დაიწყო ჩემი ნაცნობობა ძიუ-დოსთან. მწვრთნელი ამ ინციდენტის შემდეგ არ მომეშვა და ბოლოსდაბოლოს დამიყაბულა მევარჯიშა ძიუ-დოში. ცოტა ხანში ახალდამწყები მოჭიდავიდან ჯერ ინსტიტუტის, შემდეგ კი ლენინგრადის ჩემპიონი გავხდი. ბოლოს მოვიგე ოლქის პირველობა და მონაწილეობა მივიღე პირველ ოფიციალურ მატჩში.

ეს მატჩი დამთავრდა ფრედ, მაგრამ ჩემი მოწინააღმდეგე სიდორენკო მე 1.5 წუთში დავამარცხე. ასე დაიწყო ჩემი გამოსვლა დიდ სარბიელზე. სამწუხაროდ, მოსკოვში სასწავლებლად გადასვლის შემდეგ ამ ჭიდაობის არსებობა მთლიანად გადამავიწყდა. როგორც შემდეგ გავიგე, იგი საერთოდ გამქრალა ასპარეზიდან, რადგან მას პირველობა ჩამოართვა ჭიდაობის ახალმა სახეობამ – „სამბომ“ [7].

ლელოში დაბეჭდილი წერილი ხელმოუწერელია.

### ვინ იყო ლევან (ლელიკო) ნანეიშვილი?

**გავშვობისას ავადმყოფობის გამო თბილისის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმკურნალობდი. ჩემი ექიმი გახლდათ ღვთისნიერი ქალბატონი, უმაღლესი დონის სპეციალისტი ნათელა ნანეიშვილი. ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა.**

სახლში ქალბატონ ნათელას შვილიშვილი დამხვდა. მისი დახმარებით მივაკვლიე ლევან ნანეიშვილის ოჯახს (ბატონი ლელიკო ქალბატონ ნათელას ბიძაშვილი ყოფილა). გავიცანი ბატონი ლელიკოს ვაჟი ზურაბი და ბიძაშვილი, პროფესორი გიორგი ნანეიშვილი, რომლებმაც ქართველ ძიუდოისტზე საინტერესო ცნობები მომაწოდეს.

ლევან ნანეიშვილი გახლდათ ექიმი, კალათბურთელი, ფეხბურთელი, ფეხბურთელთა მწვრთნელი, სსრკ ფეხბურთის ფედერაციის მსაჯი და პირველი ქართველი ძიუდოისტი, რომელიც საერთაშორისო შეხვედრაში მონაწილეობდა, სპორტის ამ სახეობაში ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის ჩემპიონი.

დაიბადა 1918 წელს სამტრედიაში ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის რაჟდენ ნანეიშვილის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის მექანიკა-ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ერთი წლის მერე სასწავლებლად მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში გადავიდა. მეორე მსოფლიოს ომის დაწყების გამო სწავლა თბილისის სამედიცინო ისნტიტუტში განაგრძო.

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის („თეთრი გიორგი“) წევრობის ბრალებით, ლევან ნანეიშვილი 1943 წლის 18 ნოემბერს დაიჭირეს. მასთან ერთად დააპატიმრეს ჭაბუა ამირეჯიბი, ლევან აბდუშელიშვილი, შალვა სვანიძე, არჩილ წულუკიძე, პავლე ხარანაული და სხვები. ლელიკოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასჯელს კიროვის ოლქში იხდიდა, სადაც ექიმად მუშაობდა. უამრავი ადამიანი ჰყავს გადარჩენილი.

საინტერესო ფაქტს იხსენებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის – გიორგი ვაწაძის ქალიშვილი: თბილისის საპატიმროში თურმე ერთად ყოფილან გიორგი და ლევანი. ღამით განკარგულება მოსულა პატიმართა ჯგუფის ეტაპით ციმბირში გადასახლების შესახებ. ვაწაძის გვარი რომ ამოუკითხავთ, ლევან ნანეიშვილი წამომდგარა და მისი სახელითა და გვარით წასულა გადასახლებაში, რადგან ვაწაძე ხანდაზმული იყო და ციმბირამდე ვერ ჩააღწევდაო.

კარდიოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილების გამგე ნიკოლოზ კარსანოვს კი ლევანის ოჯახის წევრებისთვის უთქვამს – ციმბირულ გადასახლებაში მამაჩემისთვის ლელიკოს რომ არ ემკურნალა, ცოცხალი ვერ გადარჩებოდაო. ლევანის ძმას – ცნობილ ფსიქიატრს, პროფესორ ბიძინა ნანეიშვილს პოლონეთში ფსიქიატრთა საერთაშორისო ფორუმზე შეხვედრია ლელიკოს მიერ გადარჩენილი ყოფილი პოლიტპატიმარი, უკვე პროფესორი, რომელსაც თურმე თვალცრემლიანს უამბია ციმბირში გადასახლების ამბები...

ვინ იცის, მსგავსი რამდენი სიკეთე გაუკეთებია ლევან ნანეიშვილს, რომელიც 1949 წელს სამშობლოში დაბრუნდა. დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. რეაბილიტირებულ იქნა 1956 წელს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა წყალტუბოს ერთ-ერთი სანატორიუმის მთავარი ექიმის მოადგილედ, მწვანე კონცხზე სანატორიუმისა და ქობულეთში ე.წ. მეოთხე სამმართველოს სანატორიუმის მთავარ ექიმად. იქვე დაქორწინდა ექიმ ეთერ ინწკირველზე, 1962 წელს დაბრუნდა თბილისში და გარდაცვალებამდე (1983) დედაქალაქის მესამე პოლიკლინიკის მთავარ ექიმად მუშაობდა. ცნობილი იყო თამადობითაც.

### იაპონიიდან ამერიკამდე

**„ლელოში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს ბოლოს ლელიკო ნანეიშვილი შენიშნავს, რომ ძიუდო, „როგორც შემდეგ გავიგე, საერთოდ გამქრალა ასპარეზიდან, რადგან მას პირველობა ჩამოართვა ჭიდაობის ახალმა სახეობამ – „სამბომ“. კვლევა-ძიებამ კი სულ სხვა ვითარება გვამცნო.**

ოფიციალური მონაცემებით ირკვევა, რომ 1937 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილი იყო ძიუდოში საჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის ჩატარება მოსკოვში, მაგრამ მაშინ საბჭოეთში ფართო გაქანება მიეცა „ხალხის მტრებთან“ ბრძოლას. ვასილი ოშჩეპკოვს შპიონაჟში (იაპონიის სასარგებლოდ) დასდეს ბრალი, 2 ოქტომბერს დააპატიმრეს და 1938 წელს გულის უკმარისობით გარდაიცვალა. სხვა ვერსიით, 1938 წლის ნოემბერში ის ნოვოსიბირსკში დახვრიტეს. ამის შემდეგ ძიუდო, როგორც სისტემა, რომელიც კაპიტალისტური იაპონიიდან შემოვიდა, სასწავლო გეგმებიდან სასწრაფოდ ამოიღეს და მეორე მსოფლიო ომისთვის სპორტის ეს სახეობა ვასილი ოშჩეპკოვის სახელთან ერთად დავიწყებას მიეცა...

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირში ომამდე ძიუდოს დიდი ყურადღება ექცეოდა. მისი ხელახალი აღზევება მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, რასაც მსოფლიოში საინტერესო მოვლენები უსწრებდა: 1948 წელს ლონდონში დაარსდა ევროპის ძიუდოს კავშირი. მისი წევრების ინიციატივით 1951 წელს ჩამოყალიბდა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია. იმავე წელს პარიზში ევროპის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა.

**ვაჟა დანელია,**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი.

(დასასრული მორიგ ნომერში)

# გაცვლითი პროგრამები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში

**აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა (EEU) და ევროპის ერთ-ერთი უძველესი კოიმბრას უნივერსიტეტის (პორტუგალია) თანამშრომლობა Erasmus+ პროგრამის ფარგლებში ახალ ფაზაში შევიდა. პროგრამის ფარგლებში კოიმბრას უნივერსიტეტს, სადაც გაცვლითი პროგრამით აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები სწავლობენ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია.**



ვიზიტის ფარგლებში EEU-ს წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს კოიმბრას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და აკადემიურ პერსონალთან.

მხარეები შეთანხმდნენ უნივერსიტეტების პარტნიორული ურთიერთობების გაფართოებასა და თანამშრომლობის დამყარების ახალი შესაძლებლობების გამოყენებაზე, ასევე შეხვედრაზე დაისახა ინსტიტუციური პარტნიორობის სამომავლო გეგმები სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების განვითარების მიმართულებით, მათ შორის განათლების, სამართლის, არქიტექტურის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მედიცინის სფეროებში.

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი კოიმბრას უნივერსიტეტი (პორტუგალია) 1290 წელს დაარსდა და 2013 წელს იუნესკოს მიერ გამოცხადებულია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად, ხოლო ქალაქი კოიმბრა ხშირად მოიხსენიება როგორც „სტუდენტების ქალაქი“.



# აუქციონი

## ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

### მის ბალანსზე რიცხული:

**საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სხვადასხვა ტიპის, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებით განსაზღვრული/მგვ ნარჩენების აუქციონის წესით გაყიდვის მიზნით.**

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე: www.eauction.ge

**საკონტაქტო პირი:**

**გიორგი ოდიშვილი**
**ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281 მობილური – 5 77 24 02 33**





# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გველესიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905 (საკადასტრო კოდი: 01.12.08.021.010.01.905)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 154290.30 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 1 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 15 აპრილი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107040025;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1070400

**6. მოვალე:** შპს „კომფორტი“ (ს/კ 400199405), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905;

გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107040025; ლოტის ნომერი: 1070400).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 8 აპრილის 12:00 საათამდე.



# სამალავიდან 438 აბი „სუბოტექსი“ ამოიღეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, წარსულში მსგავსი დანაშაულისთვის არაერთხელ ნასამართლევი 1985 წელს დაბადებული გ.ა. დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში მოწყობილი სპეციალური სამალავიდან, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – 438 აბი „სუბუტექსი“ და 10 აბი „მეთადონი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

# მარნეულში ავტომობილი ქვეითს დაეჯახა – ქალი ადგილზე დაიღუპა

**მარნეულში ავტომობილი ქვეითს დაეჯახა – ქალი, ადგილზე დაიღუპა. ინფორმაციას Marneulinews.ge ავრცელებს.**

არსებული ინფორმაციით, ის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი იყო. შემთხვევა 26 მაისის ქუჩაზე მოხდა. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფი.

# კახეთში დიდი ოდენობით ხე-ტყე მოიპარეს!

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კახეთში დიდი ოდენობით ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამართალდარღვევა აღკვეთილია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეძების მიმდებარე ტყეში. კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ შეჩერებული 5 სატვირთო ავტომანქანის ძარაზე, მოქალაქეებს უკანონოდ მოპოვებული დიდი ოდენობით ხე-ტყე ჰქონდათ განთავსებული. ჯამში ამოღებულია, უკანონოდ მოპოვებული, წიფლის სახეობის 66 ერთეული მრგვალი ხე-ტყე (მორი). სამართალდამრღვევების მიერ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 12 758 ლარია. ვინაიდან ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებაში გადაიგზავნება.

# კახეთში 6 წლის ბიჭის დახრჩობამ საერთაშორისო კონფერენცია ჩაშალა!

**კახეთში ერთ-ერთ საგანმანათლებლო ცენტრში უბედური შემთხვევა მოხდა. 6 წლის ბიჭი სასტუმროს ტერიტორიაზე არსებულ წყალსაცავში ჩავარდა და დაიღუპა.**

ცენტრში, სადაც შემთხვევა მოხდა, ბოლო დღეების განმავლობაში პედაგოგიკის საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა, რომელსაც რამდენიმე ათეული სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ პედაგოგები, ფსიქოლოგები და სკოლების ხელმძღვანელები სხვადასხვა ქვეყნიდან. ცენტრის გაფრთხილების მიუხედავად, ერთ-ერთი მონაწილე უცხოეთიდან, კონფერენციაზე მცირეწლოვან შვილთან ერთად ჩამოვიდა. კონფერენციის მსვლელობის დროს ბავშვი უმეთვალყურეოდ დარჩა და სასტუმროს ტერიტორიაზე არსებულ წყალსაცავში ჩავარდა. ცენტრის თანამშრომლებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ სამწუხაროდ, ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა. კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა. კონფერენციის ყველა მონაწილე მომხდარის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

# ეგვიპტიდან იაპონიამდე ომარ ნოკი თვითმფრინავისა და პირადი ტრანსპორტის გამოუყენებლად ჩავიდა



**ომარ ნოკმა მოგზაურობა ეგვიპტიდან 2024 წლის 8 თებერვალს დაიწყო.**

ნოკმა გადაწყვიტა, რომ დანიშნულების ადგილამდე, იაპონიამდე საკუთარი მანქანისა და თვითმფრინავის გამოყენების გარეშე წასულიყო. მან, 10 000 მილი ფეხით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით და აქლემის გამოყენებითაც კი გაიარა.

**„ვიფიქრე, რომ ამ მოგზაურობას ფრენის გარეშე გავივლიდი იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ქალაქი მენახა, თან აზიაში აქამდე არასდროს ვყოფილვარ“,** – განაცხადა ნოკმა.

# არქეოლოგებმა ევროპაში უძველესი ებრაული აბანო აღმოაჩინეს

**იტალიაში, ოსტია ანტიკაში, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დაახლოებით 1,600 წლის წინანდელი ებრაული რიტუალური აბაზანა, რომელიც ევროპაში ყველაზე ძველად მიიჩნევა. აბაზანა პატარა აუზს წარმოადგენს, რომელიც მიწისქვეშა წყლით ივსება და საკმარისად ღრმაა სრული ჩაძირვისთვის.**



გათხრებისას ასევე აღმოჩენილ იქნა პატარა ზეთის სანათი მენორას გამოსახულებით. ოსტია ანტიკა იმპერიული რომის მთავარი საზღვაო პორტი იყო. ებრაელთა ყოფა ამ ქალაქში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნიდან დასტურდება, ხოლო მეორე საუკუნეში აშენებული სინაგოგა ევროპაში უძველესად მიიჩნევა.

ამ აღმოჩენამ გააძლიერა ისტორიული გაგება, როგორც კულტურათა თანაცხოვრების ნამდვილი გზაჯვარედინი.

# ეროსი მანჯგალაძის 100 წლის იუბილე სამტრედიაში

**სამტრედიაში, ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრში ლეგენდარული მსახიობის 100 წლის იუბილე განსაკუთრებული თეატრალური საღამოთი აღინიშნა.**

მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, ღონისძიებას ცნობილი ტელეწამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა.

**„საღამოზე შეკრებილმა მაყურებელმა იხილა ქართული თეატრის ვარსკვლავების დაუვიწყარი შესრულება. სცენაზე წარდგნენ მაკა შალიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექნუ ქაფიანიძე, გია აბესალაშვილი, ნანული სარაჯიშვილი, რუსუდან ბოლქვაძე, ნუგზარ კვაშალი, ბესიკ კალანდაძე, ასევე სამტრედიის დრამატული თეატრის მსახიობები.**

**ღონისძიებას ესწრებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე და სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მაჟორიტარი დეპუტატი გივი ჭიჭინაძე. მათთან ერთად, დარბაზში იმყოფებოდნენ თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები, რომლებმაც პატივი მიაგეს ეროსი მანჯგალაძის ხსოვნას და კიდევ ერთხელ გამოხატეს მისი ხელოვნებისადმი პატივისცემა. მსახიობებმა თეატრალური ფორმით გადმოსცეს ეროსი მანჯგალაძის ცხოვრების და შემოქმედების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. საღამომ გააერთიანა გულწრფელი ემოციები და თეატრისადმი სიყვარული. მაყურებელმა განსაკუთრებული მოწონებითა და ტაშით დააჯილდოვა თითოეული გამოსვლა.**

**ღონისძიებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეროსი მანჯგალაძის ღვაწლს ქართულ სცენაზე და მის სახელს თეატრის ისტორიაში. მისი უნიკალური ნიჭი, მრავალფეროვანი როლები და დაუვიწყარი შესრულება დღესაც შთაგონების წყაროა მომავალი თაობებისთვის. ეროსი მანჯგალაძის მემკვიდრეობა ცოცხლობს არა მხოლოდ მის მიერ შესრულებულ როლებში, არამედ იმ სიყვარულშიც, რომელიც მან მაყურებლის გულებში დატოვა"!**







# ღვინის საერთაშორისო კონკურსში ქართული ღვინოების 31 მედალი

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, ტექსასის შტატის სომელიეთა კონფერენციის (TEXSOM) ღვინის საერთაშორისო კონკურსზე საქართველომ ჟიურის 1 სპეციალური ჯილდო, 2 ოქროს, 13 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქართული ღვინის წარმატება მსგავს საერთაშორისო პრესტიჟულ კონკურსში მიანიშნებს მის რეპუტაციასა და მაღალ ხარისხზე, ასევე, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას და გაყიდვების ზრდას. TEXSOM-ის კონკურსზე წარდგენილი იყო სხვადასხვა ქართული კომპანიის ის 50 ქართული ღვინო და ბრენდი, რომლებიც აშშ-ის ბაზარზე უკვე იყიდება.

ტექსასის სომელიეთა კონფერენცია TEXSOM 2005 წელს დაარსდა ადგილობრივი სომელიეებისთვის პროფესიული სტანდარტებისა და განათლების ამაღლების მიზნით. კონფერენცია შემდგომ ღვინის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ღონისძიება გახდა. 2014 წლიდან კონფერენციას დაემატა ყოველწლიური საერთაშორისო ღვინის კონკურსი.

მარკეტინგული კომპანია „Colangelo & Partners" ქართულ ღვინოს აშშ-ის ბაზარზე ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტის ფარგლებში 2022 წლიდან უწევს პოპულარიზაციას. ამ პერიოდში გამოვლინდა ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენცია. 2024 წელს ექსპორტმა 1,2 მილიონ ლიტრს მიაღწია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 32%-ით აღემატება.

# «რა? სად? როდის»?- მაისში გაიმართება

## ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტის მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყო

**საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ყოველწლიურ საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს. მოსწავლეთა გუნდების რეგისტრაცია 7 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.**

ეროვნული არქივის ცნობით, ღონისძიებაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ნებისმიერი მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების VIII-XII კლასის მოსწავლეთა გუნდებს. ღონისძიების ნახევარფინალური ეტაპი და ფინალი ინტელექტუალური თამაშის **„რა? სად? როდის?"** პრინციპით მაისში გაიმართება. გამარჯვებულები რამდენიმე ნომინაციაში გამოვლინდებიან და სხვადასხვა პრიზითა და სიგელით დაჯილდოვდებიან.




ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტს 2015 წელს ჩაეყარა საფუძველი და მისი მიზანი ჩვენი ქვეყნის 1918-1921 წლების ისტორიით მოსწავლეთა დაინტერესებაა.

# ადამიანის ტვინში მხედველობის აღმდგენ ნეიროჩიპს ჩანერგავენ

**ილონ მასკის ნეიროტექნოლოგიური კომპანია Neuralink-ი პირველად სამედიცინო ისტორიაში, ადამიანის ტვინში მხედველობის აღმდგენ ნეიროჩიპს Blindsight-ს ჩანერგავს.**

Blindsight-ის მეშვეობით, უსინათლო ადამიანებს მიეცემათ საშუალება, რომ დაინახონ. პირველ პაციენტს Blindsight-ის სპეციალისტები ნეიროჩიპს 2025 წლის ბოლოსთვის ჩაუნერგავენ. ილონ მასკის თქმით, ნეიროჩიპი უკვე გამოცადეს მაიმუნებზე. მოწყობილობა მუშაობს, ცხოველები კი მშვენივრად გრძნობენ თავს.

ცოცხალ ადამიანს ტვინში Neuralink-ის სპეციალისტებმა ჩიპი პირველად შარშან ჩაუნერგეს. მისი მეშვეობით მას სმარტფონის და სხვა გაჯეტების მართვა შეუძლია. 2023 წლის მაისში Neuralink-ს ადამიანებზე ამ ტექნოლოგიის გამოცდის უფლება მიეცა.



# საავადმყოფოს კედლებზე გამოფენილი 13,8 მილიონი...



**ნახატი, რომელმაც წლები ნორვეგიაში საავადმყოფოს კედლებზე გაატარა, აუქციონზე 13,8 მილიონ დოლარად გაიყიდა.** ფასი სარეკორდოა, აქამდე მსგავსი თანხა ინდურ ხელოვნების ნიმუშში არასდროს გადაუხდიათ. ნახატის ავტორი ინდური მოდერნიზმის ფუძემდებელი მაქბულ ფიდა ჰუსეინია, რომელიც 2011 წელს გარდაიცვალა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
C—323
2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 4 აპრილს**